ეროვნული თავისუფლების გზით ეროვნული თავისუფლებისაკენ
ეროვნული თავისუფლების გზით ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 2 (1440) 1. II — 7. II, 1996 წ.

## მოსკოვი გიორგაძის ნაცვლად გვთავაზობს ...

მესამე გვერდი



## ციტატები კომენტარით ანუ, სად იყავით, სად იყავით, მაშინ, როცა იგორს ავი ზრახვა ედო...

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ბეჭვდით ორგანოში - „სახალხო გაზეთი“ სამშაბათს გამოქვეყნდა გ.ლომაძის წერილი „შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც საქართველოს უშიშროების ყოფილი შეფის იგორ გიორგაძის ანტისახელმწიფოებრივ, დანაშაულებრივ მოღვაწეობას ეხება.

არაფერი გვაქვს ამ წერილის შინაარსთან და ჟურნალისტთან სადაო. პირიქით, დოკუმენტურად ვეცნობით უშიშროების ყოფილი შეფის აღმაშფოთებელ საქმიანობას. კერძოდ,...

გაგრძელება მეორე გვერდზე

## საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს ძველ სატახტოში დაიდებს ბინას!

გუშინ, პარლამენტის დილის სხდომა დიდად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვით დაიწყო. ყველაზე გრძელი დასახელების კომიტეტის თავმჯდომარემ, რომელსაც იურიდიულ-სამართლებრივი საკითხების საკანონმდებლო უზრუნველყოფა ევალება, ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტართა წინაშე გამოიტანა საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ.

მან ისაუბრა საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობის აუცილებლობასა და უდიდეს მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ ეს სასამართლო განიხილავს დავას ორგანიზაციებს შორის და მიიღებს კერძო პირთა ისეთ განცხადებებს, რომლებშიც ადამიანის უფლებათა შელახვის შესახებ იქნება საუბარი. ამასთან, მომხსენებელმა დასძინა, რომ ამ მხრივ საქართველოში საქმე დღემდე ცუდად არის და ადამიანის უფლებები ფეხქვეშ ითელება ნებისმიერ სფეროში. ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა

გაგრძელება მე-2 გვ.

## შევარდნაძე მოითხოვს თავისუფალი პრესის მხარდაჭერას

ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების თათბირზე გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საჭიროა კულტურის, მეცნიერების და პრესის მხარდაჭერა სახელმწიფოსაგან. მან გამგებლებს და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წარმომადგენლებს მიმართა თხოვნით, მხარი დაეჭირათ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „სვობოდნაია გრუზიასათვის“, რომელნიც ოფიციალურ ორგანოებად ითვლება. ამასთანავე დასძინა, მხარი დაუჭირეთ იმ გაზეთებსაც კი, რომელნიც შევარდნაძის ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებენო.

ეს რომ, ვთქვათ რეზო ამაშუკელს მოესმინა, ალბათ ინფარქტს მიიღებდა, ვინაიდან დღენიადაგ ასეთი გაზეთების დახურვას ქადაგებს...

ბატონი შევარდნაძის მიდგომა საკითხისადმი სახელმწიფოებრივია, თუ ამას საქმეც მოჰყვა, და საერთოდ ყველა საკითხთან მიმართებაში სახელმწიფოებრივი მიდგომა გამჟღავნდა, ალბათ თავისუფალი პრესის პოზიციებსაც დაეტყობა, თუ რა თქმა უნდა ვინმეს ნიძლავი არ აქვს დადებული იმაზე, რომ პრეზიდენტი ყველა შემთხვევაში ლანძღოს...

## საქართველოს ძარცვა-გლეჯა პრივატიზაციის სახელით

იმავე თათბირზე - ცოტა უცნაურად გაიჟღერა ბატონ ნიკო ლეკიშვილის, სახელმწიფო მინისტრის აღშფოთებამ იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ქონება პრივატიზაციის მოშველიებით გროშებად მიეყიდათ ცალკეულ პირებს. მაგალითად, უნივერმაღი თბილისი თურმე 75 ათას დოლარად გაიყიდა. ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხანა 100000 (ასი ათას) დოლარად გაყიდულა და ა.შ.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სახელმწიფოს ძარცვა-გლეჯას ნიშნავს, ვინაიდან იმ ტერიტორიაზე, სადაც უნივერმაღი „თბილისი“ დგას, 65 ათასი დოლარად სამ ოთახიან ბინას თუ შეიძენთ. უნივერმაღ თბილისში კი ერთი სოფელი დაეტევა... რაც შეეხება ბორჯომის №1 ჩამომსხმელ ქარხანას, ასი ათას დოლარად, თუ შემოხსნით, მხოლოდ მისი ღობე გაიყიდება...

მაგრამ ვისი დასტურითაც იმ დოკუმენტების გაფორმება ხდებოდა, რომელსაც პრივატიზაციის დამადასტურებელი საბუთები ჰქვია ოფიციალურ ენაზე, ხოლო შინაარსობრივად საქართველოს ძარცვის მამხილებელ დოკუმენტებს წარმოადგენს, ის ხალხი, თითქმის უკლებლივ იჯდა როგორც პრეზიდიუმში, ისე დარბაზში...

# ციტატები კომენტარით ანუ, სად იყავით, სად იყავით, მაშინ, როცა იგორს ავი ზრახვა ედო...

პირველი გვერდიდან

ი.გიორგაძე ყოფილა KГБ-ს რეზიდენტი, ოპერატიული მეტსახელი „კომანდორი“. ალბათ უცხო ქვეყნის სუკ-ის რეზიდენტობა იგულისხმება, თორემ საქართველოში იგი რეზიდენტი კი არა, მთლად ყველა სუკელის შეფი იყო.

## გიორგაძე ქურდი

“იგორ გიორგაძემ თავისი „მოღვაწეობის“ პირველსავე წელს გაიტანა „აგრობანკიდან“ 70 მილიონი დოლარის ეკვივალენტი სესხი და მიითვისა, ამავე დროს საქართველოდან გაიტანა იშვიათი წიაღლითონების მარაგიც“.

## გიორგაძე – მაფიის მამა საქართველოში

მეორე ციტატი გვამცნობს, რომ „იგორ გიორგაძე საქართველოში მაფიის ჩამოყალიბების მთავარი ორგანიზატორია. პრაქტიკულად არ არსებობდა ეკონომიკის რომელიმე სფერო, რომელსაც იგი არ აკონტროლებდა და ხარკს არ ალებდა. იგი შანტაჟის უბადლო ოსტატი გახლდათ და თავისი სამსახურის სპეცსაშუალებებს, მოსასმენ აპარატურას, მეთვალყურეობას იყენებდა არა გარეშე მტრების, აგენტურის გამოსავლენად, არამედ კომერსანტების, ბიზნესმენების, მეწარმეების, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების წინააღმდეგ, გიორგაძე აკონტროლებდა თამბაქოს ბიზნესს საქართველოში. 1994 წლის ივნისიდან 1995 წლის მარტამდე მან საქართველოში თვითმფრინავით შემოიტანა სამოცდაორი მილიონ ცხრაას სამოცდაათი ათასი კოლოფი სიგარეტი „მარლბორო“, „ბონდი“, „ელემი“...

იგორ გიორგაძემ მყარად მოიკიდა ფეხი საქართველოს საზღვაო ჭიშკარში – ფოთის პორტში, რომელზეც სრული კონტროლი დააწესა. სწორედ ამ პერიოდშია გატანილი ასეულ ათასობით ტონა რკინის ჯართი, თუმცა ჯართი მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს ქვეყნიდან გაზიდულ ნარხებს, დანადგარებს, ავტომობილისა და ტრაქტორის ძრავებს. აქაც ასეულ მილიონობით დოლარის ზარალი. საქართველოს ეკონომიკის დაქცევა და დანგრევა... ფოთის ნავსადგურიდან მისი ნებართვის გარეშე ერთი პატარა კატარღაც ვერ გავიდოდა“.

„ეჭვს არ იწვევს, რომ გიორგაძე საქართველოში ნარკოტრასის მოწყობის მთავარი ორგანიზატორია“.

## გიორგაძე იცავდა ხაჩიშვილს

„KГБ-ს რეზიდენტი „კომანდორი“ გიორგაძე იცავდა მეორე რეზიდენტ „Горец“-ს ხაჩიშვილს.

საერთოდ, იგორ გიორგაძე და ორჯერ ნასამართლევი ხაჩიშვილი (ერთხელ მკვლელობისათვის) იდეალური წყვილი იყო. ფური ფერს და მადლი ღმერთსაო – ამაზე უთქვამს ჩვენს ხალხს“.

## გიორგაძეს ძველი ცოდვებიც ჰქონდა

„80-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს სუკში მუშაობისას მან ამაზრზენი, ამორალური დანაშაული ჩაიდინა, რისთვისაც ნებისმიერ სხვას 9 წელს მაინც მიუსჯიდნენ, ის კი მამამისის პანტელეიმონ გიორგაძის და სუკ-ის მაშინდელი შეფის ახლობლობის გამო „შეიწყალეს“ და არხეინად განაგრძო მუშაობა“.

## გიორგაძე დივერსანტ – ტერორისტი

“იგორ გიორგაძის დროს ააფეთქეს 52 ხიდი, 122 რკინიგზის ხაზი, 56 მაღალი ძაბვის ანძა, ნავთობსადენები და აირსადენები. საქართველო მოიფინა გვამებით და ყოველი ტერორისტული აქტის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი უშიშროების ყოფილი შეფი გახლდათ“.

**დამეთანხმება მკითხველი, რომ ამ არცთუ ვრცელ ციტატებში საშინელებათა მთელი პანორამა ჩანს იმ კაცის მიერ ჩადენილი, რომელიც სახელმწიფოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ პოსტზე იმყოფებოდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე იბადება რამდენიმე კითხვა:**

**1) რომ არ მომხდარიყო 29 აგვისტოს ტერორისტული აქტი, ბატონ ედუარდ შევარდნაძის დასაღუპად გამიზნული, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა იმავე სახელმწიფოს მეთაურის მიერ უმაღლეს ხარისხმინიჭებული იგორ გიორგაძისაგან საქართველოს ნგრევა?**

**2) გიორგაძის მიერ 70 მილიონი დოლარის მითვისებისა და იშვიათი წიაღლითონების გატანის ფაქტი იყო თუ არა ცნობილი სათანადო ორგანოებისათვის და თუ ცნობილი იყო რატომ სდუმდნენ, თუ ცნობილი კი იყო, რატომ არაფერი ისმინეს ი.ხარიშვილი-ჭანტურიასი, რომელმაც ამის შესახებ პარლამენტის სხდომაზე გააკეთა განცხადება?**

**3) იგორ გიორგაძეს სხვადასხვა მაქინაციებში იმთავითვე ამხელდნენ მაშინდელი პარლამენტის უმცირესობის წარმომადგენლები — რესპუბლიკელები, ედპ და სხვები. ვინ უჭერდა მაშინ მხარს გიორგაძეს და რატომ?**

**4) ხაჩიშვილი რომ შს მინისტრად დამტკიცებამდე ყოფილა კაცის მკვლელი, რატომ დაუმალეს პარლამენტს? ვინ უჭერდა მას მხარს მინისტრად დამტკიცებისას და რა მოტივით? ან რატომ იყვნენ დესტრუქციული ძალების წარმომადგენელები ის პარლამენტარები, რომელთაც ხმა არ მისცეს ხაჩიშვილ ს მინისტრად დამტკიცებისას?**

**5) ახლა გახდა ცნობილი, რომ გიორგაძე რეზიდენტი იყო და ძველი ცოდვებიც ჰქონდა? თუ ასეთ საპასუხისმგებლო პოსტზე ჯერ ნიშნავენ პიროვნებას და როცა დანაშაულს ჩაიდენს, მერე იკვლევენ მის ვინაობას, მის წარსულს და ასე შემდეგ?**

**6) თუ ხიდებს, ანძებს, ნავთობსადენებს და აირსადენებს გიორგაძის დავალებით აფეთქებდნენ, მაშინ მართლები ყოფილან „ზვიადისტები“, როცა ამტკიცებდნენ, ამ დივერსიებს თვით ხელისუფლება ჩადისო და რაღას გვალანძღინებდით ამ ხალხს, როგორც დივერსიების ჩამდენთ?**

**7) როცა ე.წ. სახელმწიფო კურსის მხარდამჭერი პრესა გიორგაძის ქება—დიდებაში იყო, ხოლო ჩვენ, ვთქვათ გაზეთი „საქართველო“ ვამხელდით გიორგაძეს როგორც დემაგოგს, რეზიდენტს და ა.შ. (გაიხსენეთ სამუშიასთან დაკავშირებული სცენა) რატომ ვიწოდებოდით ჩვენ „დესტრუქციულ ძალებად“. ხოლო იმ ორგანოების მესვეურნი, ქვეყნის დამაქცევარს რომ აქებდნენ, სახელმწიფოს მხარდამჭერებად. მართებთ თუ არა მათ თავზე ნაცრის დაყრა, ხოლო ჩვენთვის გმართებთ თუ არა ადრინდელი ლანძღვის წილ ამ საქმეში დღეს მაინც მადლობის თქმა?**

**8) და ბოლოს, თქვენ ყველანი, ბატონებო, ვინც ჩხუბის შემდეგ ასე მაგრად იქნევთ ხოლმე ხელებს, სად დასაკარგავში იმალებით მაშინ, როცა ქვეყნის დამაქცევარი კაცი ჯერ კიდევ თანამდებობაზე ზის, და არათუ იმალებით, ასეთებს აქებთ და ადიდებთ მაშინ, როცა მისგან რაღაცას გამოელით...**

**9) და კიდევ ბოლოს, ვინ არის ამ კითხვებზე პასუხის გამცემი?**

# საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს ძველ სატახტოში დაიდებს ბინას

პირველი გვერდიდან

ისაუბრა იმ წესის შესახებ, რითაც აირჩევა და დაკომპლექტდება საკონსტიტუციო სასამართლო. ისაუბრა სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის წესის განსაზღვრის შესახებ და ა.შ.

მოქალაქეთა კავშირის რამდენიმე დეპუტატმა ტექსტში ლიტერატურულ-სტილისტური შეცდომების დაფიქსირებით მოიხადა დეპუტატის მაღალი ვალი, სამაგიეროდ არსებული შენიშვნები ჰქონდათ ედპ-ს ფრაქციის წევრებს, ბატონებს თენგიზ შარმანაშვილსა და ოთარ მელქაძეს, ეს უკანასკნელი საკმაოდ მომზადებული წარსდგა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საკონსტიტუციო სასამართლო, ცხადია, უნდა იყოს დამოუკიდებელი. ბატონ მიხეილის წინადადებით, მისმა წევრებმა უნდა დასდონ ფიცი — ღვთისა და ერის წინაშე იმაზე, რომ ისინი დაემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციას და არავის სხვას.

თ.შარმანაშვილმა გამოთქვა შენიშვნა, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობა ეჭვქვეშ დადგება, თუ გათვალისწინებულ არ იქნა ვის მიერ, ვისი წინადადებით და როგორ დგება საკონსტიტუციო სასამართლო ბიუჯეტი, ვინაიდან, ცნობილია ვინც იხდის, ის უკვეთავს...

ბატონმა საიკაშვილმა ერთ არცთუ უმნიშვნელო დეტალზე გაამახვილა ყურადღება. ვინაიდან თბილისი თავკომბალას დაემსგავსა და ყველა ცენტრალური უწყება დედაქალაქშია განლაგებული, ჩვენ ვფიქრობთ, საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილმდებარეობა განისაზღვროს არა თბილისში, არამედ მცხეთაშიო და დასძინა, რომ ეს წინადადება ეკუთვნის პარლამენტის თავმჯდომარეს ზ.ჟვანიას. ამ წინადადების ავტორს, ალბათ, ისიც ჰქონდა მხედველობაში, რომ მცხეთა ქართველი კაცის ცნობიერებაში ის საკრალური ადგილია, სადაც ჩვენი ხელმწიფენი უძველესი დროიდან ჰრიდნენ სამართალს და სადაც დგას უზენაესთან შემაერთებელი, ცისა და მიწის შემაერთებელი სვეტიცხოველი. ამ ქალაქში გადატანით სიმბოლურადაც გაესმება ხაზი საკონსტიტუციო სასამართლოს უზენაესობას, რომლის თავმჯდომარე უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ ღმერთსა და კონსტიტუციას და არავის სხვას. ერთი სიტყვით, პარლამენტის თავმჯდომარეს, მშვენიერი აზრი მოსვლია თავში რაც, ვფიქრობთ, მხარდაჭერის ღირსია.

ასე რომ, როგორც ხედავთ, ჩვენ მართლაც „ჩასაფრებულნი“ ვართ. ოღონდ კი ზ.ჟვანიას ჩვენთვისაც მისაღები აზრი წამოსცდეს და მაშინვე ვაფიქსირებთ გაზეთში...

## მდგომარეობა კვლავ მძიმეა

**ცხინვალის** რეგიონში ყოფნის შემდეგ. ეუთოს უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს ხელმძღვანელმა საქართველოში დიტერ ბოდენმა განაცხადა, რომ სამშვიდობო ძალთა ბატალიონი აკონტროლებს სიტუაციას ცხინვალის რეგიონში, მაგრამ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩება.

შეხვედრებში, რომლებიც შედგა ოსეთისა და ქართული სამშვიდობო ძალების ბატალიონებთან მონაწილეობას იღებდნენ ინგლისის და ამერიკის ელჩები საქართველოში, სტივენ ნეში და უილიამ კორტნი.

BGI

## არძინბა ბრძოლის პოლიტიკურ მეთოდს ირჩევს

**ეკონომიკური** ზეწოლა ვერ აიძულებს აფხაზეთს უარი თქვას სუვერენიტეტზე. პროგრამა „ალიონის“ ინფორმაციით. ეს განცხადება გააკეთა ვლადისლავ არძინბამ. მისი სიტყვებით, აფხაზეთს არა აქვს არანაირი შეთანხმება დსთ-ს ქვეყნებთან რაიმე ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. მისივე განცხადებით ის კატეგორიულად წინააღმდეგია რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის პოლიციის ფუნქციების გადაცემისა. მაგრამ მზადაა დაარეგულიროს კონფლიქტი პოლიტიკური მეთოდებით.

BGI

## გიორგი გულბანი

შვილო და ძმაო, გიორგი!

ერთი წელი გავიდა შენი ტრაგიკული აღსასრულიდან, შენი ნატვრით სავსე ტკივილიანი ერთი წელი. ყოველდღე გიხსენებთ და ღმერთს ვევედრებით, იყოს შენი მფარველი იქ, ზეციურ საქართველოში.



25 წლის ჭაბუკი, პოლიციის უმაღლესი სკოლის კურსანტი, არნახული თავგანწირვით იცავდი გადამთიელთა ხელყოფისაგან აფხაზეთს, მშობლიურ გაგრასა და პზიფს, სადაც ფეხი აიდგი და დავაჟკაცდი. უხორცოსავით უშიშარს იქ ვერაფერი დააკლო მტერმა და მოგვიანებით შორეულ პეტერბურგში თავშეფარებულს მოგაწვდინა მსახვრალი ხელი.

ჩვენო გიორგი, ლამაზო და მამაცო ბიჭო, შენ ლეგენდად დარჩი და ის გვამშვიდებს ოდნავ, რომ არა მარტო ჩვენს, არამედ ყველა გაგრელი ქართველის, ყველა თანამებრძოლის ხსოვნაში.

ღმერთმა სამოთხე მისცეს სამკვიდროდ შენს მებრძოლ, სპეტაკ და ლამაზ სულს.

მშობლები, და, ძმები

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვის და რატომ მალავს მოსკოვი?

## მოსკოვი გიორგაძის ნაცვლად გვთავაზობს ...





მოსკოვი გაქცეული პოლიტიკოსების, დამხობილი ბელადების და უბრალო დამნაშავეების თავშესაფრადაა ქცეული. ადრე თუ მოსკოვი მასპინძლობდა უცხოეთიდან სოციალიზმის იდეებისთვის დევნილ პირებს, დღეს მისი „მაღალი" სტუმრები ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, ანუ როგორც ეხლა ამბობენ, ახლო საზღვარგარეთიდან არიან. მოსკოვის სტუმართმოყვარეობით სარგებლობენ ჩვენი თანამემამულენიც. ყველასათვის კარგად ცნობილი პირნი — 1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის ეზოში მომხდარი ტერორისტული აქტის ორგანიზატორი, მაშინდელი უშიშროების სამინისტროს შეფი იგორ გიორგაძე, უშიშროების სამსახურის მაღალი ჩინის მქონე პირნი გულიევი და ნასყიდაშვილი.

საქართველოს პროკურატურამ გასცა სანქცია ტერორიზმში ეჭვმიტანილების დასაკავებლად და მოსკოვში, სადაც დამნაშავენი ეგულებოდა, საქართველოს გენერალური პროკურორის თანაშემწეც აფრინა საჭირო დოკუმენტებით. თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო და რუსეთის მხარეს სელდაკაპიწებულს უნდა დაეწყო გიორგაძის და მისი მეგობრების ძებნა. მაგრამ მოხდა „გაუთვალისწინებელი" რამ: რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთმა მაღალი თანამდებობის პირმა რევიზია გაუკეთა პროკურორის სანქციას დამნაშავეების დაკავების თაობაზე. წესით, მოსკოვს ამის უფლება არ ჰქონდა. ეს იყო 1992 წლის ალმა-ათაში დადებული ხელშეკრულების დარღვევა.

ასეთი პრაქტიკა მოსკოვისთვის უცხო არ არის. გაიხსენეთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროკურატურისა და მოსკოვის პროკურატურას შორის გამართული ეპისტოლარული დიალოგი. აზერბაიჯანის მხარე ამაოდ ცდილობდა რესპუბლიკიდან გაქცეული დამნაშავეების სამშობლოში დაბრუნებას. საწუხაროდ, ალბათ საქართველოს პროკურატურაც იგივე ბედს ეწევა. მაშ ასე.

### ძებნილი №1

**ვეზიროვი აბდულ-რახმან ხალილ ოღლი.** აზერბაიჯანის ყოფილი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. ოპოზიციურ ძალებთან ურთიერთობის გამწვავების შემდეგ 1990 წელს ვეზიროვმა სთხოვა რუსეთის მხარეს აზერბაიჯანის დედაქალაქში სამხედრო ნაწილის შეყვანა, რასაც მოჰყვა 19—20 იანვარს ბაქოში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედია. სახელმწიფოს მეთაურმა სამხედრო თვითმფრინავის მეშვეობით თავი მოსკოვს შეაფარა.

აზერბაიჯანში ვეზიროვის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

**„24.01.94.** რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორს ა.ი.კაზანნიკოვს.

პატივცემულო ალექსეი ივანეს ძევ. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პროკურატურა იძიებს სისხლის სამართლის საქმეს **№18/35291,** აღძრულს **1990** წლის **19—20** იანვარს ბაქოში დატრიალებული მოვლენების გამო.

გამოძიების მსვლელობის დროს აზერბაიჯანის ცკ-ს პირველი მდივნის აბდულ-რახმან ხალილ ოღლი ვეზიროვის მიმართ 1994 წლის 6 იანვარს გამოტანილია დადგენილება მისი დამნაშავედ ცნობის შესახებ და მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა. გამოცხადებულია მისი ძებნა.

გამოძიებით დადასტურებულია, რომ ვეზიროვი ამჟამად იმყოფება ქალაქ მოსკოვში. გთხოვთ, გაგვიწიოთ დახმარება ვეზიროვის დაკავებაში და გადასცეთ იგი აზერბაიჯანის სამართალდამცავ ორგანოებს, რათა მოხდეს მისი ეტაპირება ბაქოში.

პატივისცემით აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ა.ღ. ომაროვი"

**„13.03.1994 საქმე №18 35291** შესახებ აზერბაიჯანის გენერალურ პროკურორის მოადგილეს, იუსტიციის უფროს მრჩეველს ხ.რ. ვალიევს.

პატივცემულო ხანლარ რუსტამის ძევ. თქვენი შუამდგომლობის განხილვის შემდეგ, რომლითაც ითხოვთ გადმოგვცეთ ყოფილი აზერბაიჯანის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა.ხ. ვეზიროვი, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურაში ბრალდებულის იმ მოქმედებების დაწვრილებითი აღწერა, რომლებმაც გამოიწვია დანაშაული, სისხლის სამართლის კანონიდან შესაბამისი სტატია, თავისუფლების აღკვეთის დადგენილების და ბრალდების ორიგინალი, ან დამოწმებული ასლი, ვეზიროვის ანკეტური მონაცემები, ცნობები მისი სავარაუდო ადგილსამყოფელის შესახებ მოსკოვში, მისი აზერბაიჯანის მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთები, გარეგნული აღწერილობა, ფოტოსურათი, ცნობები მისი კავშირების შესახებ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

ზემოჩამოთვლილი დამატებითი ცნობები დაგვეხმარება ძიების მიზანმიმართულ წარმოებაში.

რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის თანაშემწე, იუსტიციის პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი ვ.ი.კრავცევი"

ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზე იყო და აზერბაიჯანის მხარის მოთხოვნა რუსეთის ფედერაციას უნდა დაეკმაყოფილებინა. მაგრამ ორ პროკურორს შორის დიალოგი დამთავრდა რუსეთიდან გამოგზავნილი შემდეგი წერილით:

**„22.08.94 №15 1-1905—94.** აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილეს, იუსტიციის უფროს მრჩეველს ხ.რ.ვალიევს.

რფ-ს გენერალურ პროკურატურაში განხილულია თქვენი მიმართვა აზერბაიჯანის კომპარტიის ცკ-ს ყოფილი პირველი მდივნის ა.ხ.ვეზიროვის გადაცემის შესახებ, რომელიც აღიარებულია დამნაშავედ ხელისუფლებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში.

აღნიშნული შუამდგომლობა არ შეიძლება იქნას დაკმაყოფილებული, რამდენადაც რუსეთის ფედერაციის „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ" კანონის მე-13 მუხლის ნაწილისა და მე-2 პუნქტის 1 დებულების თანახმად „რფ-ის მოქალაქეობის საკითხის განხილვის წესის შესახებ" ა.ხ.ვეზიროვი წარმოადგენს რუსეთის მოქალაქეს.

რუსეთის ფედერაციის მოქმედი კანონმდებლობა გამორიცხავს საკუთარი მოქალაქეების გადაცემას სხვა სახელმწიფოსათვის.

რფ-ს გენერალური პროკურორის მოადგილე, იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო მრჩეველი ო.ი.გაიდანოვი".

### ძებნილი №2

**აიაზ ნიაზ ოღლი მუტალიბოვი.** აზერბაიჯანის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. მუტალიბოვმა ვერ შეძლო სამოქალაქო ომის თავიდან აცილება და 1992 წლის 6 მარტს, ქალაქ ხოჯალეში ტრაგიკული მოვლენების გაშუქების შემდეგ გადადგა. ორი თვის თავზე კვლავ სცადა პრეზიდენტის სავარძელში დაბრუნება, მაგრამ დიდი ხნით ძალაუფლების შენარჩუნება ვერ შესძლო. მუტალიბოვი გაიქცა მოსკოვში. ვეზიროვის მსგავსად, პრეზიდენტი რუსეთში სამხედრო თვითმფრინავით ჩავიდა.

მუტალიბოვის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მას ბრალი რამდენიმე სტატიით ედება. მათ შორის (ვეზიროვთან ერთად) მონაწილეობა ბაქოში დატრიალებულ მოვლენებში მთავარ დამნაშავედ.

აზერბაიჯანის პროკურატურამ კვლავ მოსკოვის პროკურატურას მიმართა:

**„29.08.94. №06 44293** რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელს, იუსტიციის პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველს ა.ნ.ილიუშენკოს.

გთხოვთ, აღმოგვიჩინოთ დახმარება ა.ნ.მუტალიბოვის პატიმრობაში აყვანისა და მისი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ეტაპირების საქმეში. ანალოგიური თხოვნით ჩვენ ადრე მივმართეთ რუსეთის ფედერაციის პროკურატურას, მაგრამ თხოვნა რეაგირების გარეშე იქნა დატოვებული.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე ხ.რ.ვალიევი".

**„01.11.94. №18 35291.** რფ-ს სამხედრო პროკურორის მოვალეობის დროებით შემსრულებელს აიხ. გ.ნ.ნოსოვს.

რაც შეეხება აზერბაიჯანის კომპარტიის ცკ-ს ყოფილ პირველ მდივანს ა.ხ.ვეზიროვს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა.ნ.მუტალიბოვს, გაცნობებთ, რომ ყველა დოკუმენტი, რომელიც ეხება მათ გადაცემას სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი დახმარების შესახებ, მოლაპარაკებათა მუხლების საფუძველზე სრულყოფილად წარედგინა რფ-ს პროკურატურის ხელმძღვანელობას... ა.ნ.მუტალიბოვი დღესდღეობითაც კი ჩაწერილია აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ქ.ბაქოში მისამართით: ისტიგლალის ქ.9 ბ.35. მოსკოვში მისი საცხოვრებელი ადგილის კონკრეტული მონაცემები აზერბაიჯანის რესპუბლიკას არა აქვს.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ხ.რ.ველიევი".

**„25.03.95 №18/35291.** რფ-ს გენერალური პროკურორის მოადგილეს ო.ი.გაიდანოვს.

**1994** წ. **22** ივლისს რფ-ს სახელმწიფო დუმაში რატიფიცირებულ იქნა მოლაპარაკება სამართლებრივი დახმარების შესახებ სამოქალაქო, ოჯახური და სისხლის სამართლის საქმეთა გამო აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და რფ-ს შორის, რაც გახდა მიზეზი თქვენდამი მეორედ მიმართვისა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შუამდგომლობით მოცემული საქმის მსვლელობაში, რომლის წინასწარი გამოძიების დამთავრება შეუძლებელია ა.ხ.ვეზიროვისა და ა.ნ.მუტალიბოვის, რფ-ს პროკურატურაში მყოფი 30 ტომიანი სისხლის სამართლის საქმის, მოწმეთა მ.გორბაჩოვის, ა.ლუკიანოვის, ე.პრიმაკოვის, დ.იაზოვის, ვ.ბაკატინის დაკითხვის გარეშე წარმოუდგენელია.

აღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ, გაგვიწიოთ დახმარება ჩამოთვლილი საკითხების გადაწყვეტაში.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ხ.რ.ველიევი".

მოსკოვის მხრიდან პასუხები თავაზიანი და არაკონკრეტული იყო. რუსეთის მხარე პირდებოდა მუტალიბოვის მოძებნას, ითხოვდა დამატებით ცნობებს აზერბაიჯანის მხრიდან. რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები ერთი წლის განმავლობაში ეძებდნენ მუტალიბოვს. ამ პერიოდის განმავლობაში ექსპრეზიდენტი ხშირად გამოდიოდა უცხოეთის რადიოსადგურებში, იძლეოდა ინტერვიუებს რუსეთის პრესაში და არ მალავდა თავის ადგილსამყოფელს.

აზერბაიჯანის მხარეს ერთი წლის შემდეგ გაეგზავნა კიდევ ერთი ოფიციალური დოკუმენტი:

**„16.05.1995 №15-6913—93.**

...მუტალიბოვი უარს ამბობს თავის მხრიდან რამე დანაშაულის ჩადენაზე. იგი თვლის, რომ აზერბაიჯანის მხარე ცდილობს ებრძოლოს მას, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს და ოპოზიციის წარმომადგენელს...

რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის თანაშემწე, იუსტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩეველი ო.ი.გაიდანოვი"

როგორც ხედავთ, მოსკოვის მხარემ „იშვიათი" იურიდიული არგუმენტებით თავი აარიდა აზერბაიჯანის მხარის მოთხოვნებს.

ალბათ, დაახლოებით ასეთ პასუხს მიიღებს საქართველოს პროკურატურაც თავის მოთხოვნებზე. საქართველოდან გაქცეული გიორგაძე, გულიევი და ნასყიდაშვილი მუტალიბოვისა და ვეზიროვის მსგავსად იძლევიან ინტერვიუებს, ხშირად ერთად ჩნდებიან ქალაქში და თავს დამალვით ნამდვილად არ იწუხებენ. მოვლენები მათი დაკავების შესახებ ალბათ ზემოთ წარმოდგენილი სქემის მიხედვით განვითარდება. სავარაუდოა, რომ მოსკოვი არ მისცემს მათ პოლიტიკურ თავშესაფარს და პოლიტიკური ემიგრანტების სტატუსს და არც საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს გადასცემს.

სამშობლოდან გაქცეული დამნაშავეების ასეთი მდგომარეობა ეტყობა მოსკოვში ყველას ძალიან აწყობს.

მოამზადა ლელა ჯაფარიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ხმა სამარიდან"...

**ქვემოთ** გთავაზობთ გაზეთ „სტალინელში" გამოქვეყნებულ წერილს „მშრომელი ხალხის უბოროტესი მტრები". „მშრომელი ხალხის ეს უბოროტესი მტრები" ჩვენ „გახლავართ" – გაზეთი „საქართველო" და ჩვენი ავტორები. ესენი კი „ახალი" სტალინელები არიან, ნამდვილი სტალინელები. მათი თქმით თვით ისეთი ნაღდი სტალინისტიც კი, როგორიც გრიგოლ ონიანია, ცრუ სტალინელი გახლავთ, ის და მოსოციალისტო სხვა ელემენტები ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან დიადი სოციალიზმის „მშენებლობის საქმეში". ამ ნამდვილ სტალინელებს მიაჩნიათ, რომ ქვეყანას პარლამენტი და ამისთანა ვითომ დემოკრატიული ინსტიტუტები ვერ იხსნის, მათი „ფილოსოფიური თვალთახედვით" საჭიროა სოციალისტური რევოლუცია, რათა მშრომელმა ადამიანებმა ჩაკლან და ჩახოცონ ბურჟუაზიული აზრების მატარებელი თანამემამულენი, ბოლო მათი ლექსიკა ისეთი გახლავთ, მკითხველი ბნელად თუ მიხვდება, რომელი წელია ახლა 1996 თუ 1936.

დანარჩენი მათ წერილში წაიკითხეთ და ერთი წუთით დაფიქრდით, ამათ რომ მართლა მისცე ხელისუფლება ხელში, რა დღეს დააყრიან „მშრომელი ხალხის უბოროტეს მტრებს"...

მათი ნერვების „დასამშვიდებლად", ჩვენი გაზეთის მე-5 გვერდზე გთავაზობთ მსოფლიოში ყველაზე დიდი ყაჩაღის, იოსებ სტალინის ერთი დიდი ავანტიურის შესახებ შექმნილ სტატიას...

# მშრომელი ხალხის უბოროტესი მტრები

ახალგაზრდა კაცმა, გოდერძი ვანიშვილმა, მომიტანა გაზეთი „საქართველო" და აღშფოთებით მითხრა: წაიკითხე ეს გაზეთი, რა სისულელეებს წერენ სტალინზეო და თან სამართლიანი გადაუკურთხა.

გაზეთი გულდასმით გადავიკითხე. ბერი შემაძრწუნებელი საკითხი შემხვდა და უცებ გამახსენდა დიდი ილიას „კაცია — ადამიანის" შესავალი. ილიამ თავისი მოთხრობისათვის შმორიან ჭაობში მყოფი ტიპი შეარჩია, ყურში ხელი წაავლო და ჭაობიდან გამოჰყავდა და ჭაობის ბინადრებმა ილიას ლაფის სროლა დაუწყეს, მაგრამ ლაფით ისევ ლუარსაბი ითხუპნებოდა, ილიამდე არ აღწევდა. ახლაც ასეა, სტალინს ესვრიან ლაფს იმავე ჭაობის ბინადრები, მაგრამ ვინც მას ლაფს ესვრის, იმავე ლაფით თვითონ ითხუპნებიან და ეს ვაი ჭკუის პატრონები ამას ვერა ხვდებიან.

გაზეთის კითხვის დროს ჩემი აღშფოთება განსაკუთრებით გამოიწვია სტატიებმა „წითელი ჭირი" და „საქართველოს უკანასკნელი მეფე". თუმცა გაზეთი თავისი შინაარსით ანტიმარქსისტული, ანტისაბჭოური და ანტისტალინურია გადავწყვიტე რედაქციისათვის მესაყვედურა, მაგრამ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა რომ წავიკითხე, ხელი ჩავიქნიე, რადგან მათგან უფრო მეტიც იყო მოსალოდნელი. ამათ ხომ პატიოსანი მშრომელი ხალხი ფეხებზე ჰკიდიათ, მათი უბოროტესი მტრები არიან, დიდ რუს ხალხს ომს უცხადებენ და პირად ამბიციებზე აგებენ ყველაფერს, საკუთარ სინდისში აღარ იხედებიან.

გაზეთს წითელი ზოლივით გასდევს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის საკითხი. ყველაფერ ამას აბრალებენ საბჭოთა რუსეთს, ი.ბ.სტალინს. ვაი თქვენს პატრონს!

თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის საკითხში ედავებით ვინმეს, მაშინ უნდა ედაოთ მეფე ერეკლეს (პატარა კახს) და არა საბჭოთა რუსეთს ან სტალინს!

მაგრამ მეფე ერეკლეს რომ ედაოთ, ცოტა კირკიტი თავი უნდა გქონდეთ, რომ ლაყე კვერცხივით ზედ არ შეასკდეთ. საკუთარი თავი უნდა წარმოიდგინოთ მის ადგილას, გონების თვალით გადახედოთ საქართველოს ისტორიას და რეალური დასკვნები გააკეთოთ. მაშინ ქართველი მეფე და საქართველო მთლიანად ალტერნატივის წინაშე იდგნენ: ან უნდა ექებნათ ძლიერი მოკავშირე და მათი მფარველობის ქვეშ შესულიყვნენ, ან ფიზიკურად უნდა განადგურებულიყვნენ და დღეს ქართველ ხალხთან ერთად არც თქვენ ანტისტალინელები იქნებოდით.

ერეკლე მეფემ კარგად იცოდა, რომ ორი უბედურებიდან ერთი უბედურება მაინც უკეთესი იქნებოდა და თავის გზად და ხიდად რუსეთთან შეერთება აირჩია და არც შემცდარა. მართალია, ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა დაკარგა, სოციალურ ჩაგვრას ეროვნული ჩაგვრაც მიემატა, მაგრამ რაც მთავარია, ფიზიკური არსებობა შეინარჩუნა, რუსეთმა იხსნა ქართველი ხალხი ფიზიკური განადგურებისაგან, ახლა დიდი უმეცრებაა რუსეთთან ბრძოლა, ამაგის დაუფასებლობა.

ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრა 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე გაგრძელდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ეროვნული ჩაგვრა მოიხსნა, მაგრამ მენშევიკების წყალობით სოციალური ჩაგვრა მაინც გრძელდებოდა, ეროვნებათა შორის შუღლი ჩამოვარდა, ამიტომ იყო, რომ ქართველმა ბოლშევიკებმა, ქართველმა ხალხმა საბჭოთა რუსეთს მიმართეს დახმარებისათვის და მათ ძმური ხელი გამოგვიწოდეს, გაათავისუფლეს საქართველო მენშევიკების ბატონობისაგან და ქართველ ხალხს დაუმკვიდრეს სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა საამური და ბედნიერი ცხოვრება!

თქვენ პოპიაშვილებო, ზურაბიშვილებო და სხვა ანტისტალინელებო, საქართველოს და ქართველი ხალხის დამოუკიდებლობა კი არ გაინტერესებთ, საკუთარი დამოუკიდებლობა, ისეთივე როგორიც ფეოდალურ საქართველოში ჰქონდათ, როცა ქართველი ხალხის შვილებს სტამბოლის ბაზრებზე ჰყიდიდნენ და მათგან მამლუქთა რაზმები იქმნებოდა. ამას ვეღარ მოესწრებით! თქვენ ნიადაგი ფეხქვეშიდან გეცლებათ. მალე ჟორდანიას ბედი გეწევათ და ამიტომ შემოდგომის ბუზებივით იბზინებით.

ამ პატარა შესავლის შემდეგ მოკლედ განვიხილოთ ავთანდილ პოპიაშვილისა და დავით ზურაბიშვილის სტატიები.

ა.პოპიაშვილი თავის სტატიას — „წითელი ჭირი" — იწყებს მარქსიზმის უარყოფით. იგი წერს: „საბჭოთა იმპერიაში კომუნისტური მოძღვრების სახელი დაკავშირებული იყო გერმანული ფილოსოფიის ეპიგონეპის (ვ.ვილდებანდის სიტყვებია) კ.მარქსისა და ფ.ენგელსის სახელებთან. სხვა გერმანელი ავტორის კ.ფიშერის მიხედვით, მარქსი და ენგელსი იყვნენ გერმანული ფილოსოფიის გზადაკარგული შვილის ლ.ფოიერბახის აზრის კიდევ უფრო დამაკნინებელი".

ასეთი აზრი შეიძლება თავში მოუვიდეს ისეთ პიროვნებას, რომელიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამკურნალოდ წევს და გონება აბნეული ბოდავს. სალი აზროვნების ადამიანი ამას ვერ იტყვის. მარქსი და ენგელსი მსოფლიოში ყველაზე დიდი მატერიალისტი ფილოსოფოსები იყვნენ, რომლებმაც მეცნიერულად დაამტკიცეს სამყაროს არსებობის რეალობა და მსოფლიოს პროლეტარიატს (ყველა ჩაგრულ ადამიანს დაუსახეს მეცნიერული კომუნიზმისაკენ მიმავალი ნათელი გზა. ეს პირწავარდნილი მახინჯი დღემდის ვერ გარკვეულა დიალექტიკურ მატერიალიზმში და მახის მსგავსად თავდაყირა აყენებს ყველაფერს.

ა.პოპიაშვილი თანდათანობით უფრო ღრმად ტოპავს და ჭორის დონეზე ანვითარებს თავის „ბრწყინვალე" აზრებს: 1907-ში მათ მოკლეს თავად ილიაც და ქართველი კომუნისტები საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ ცოფიან ანტიქართველებად, საკუთარი სამშობლოს დაუძინებელ მტრებად".

ავთ.პოპიაშვილს შევახსენებთ: თუ ქართველი კომუნისტები „ცოფიანი" ქართველები იყვნენ, თუ მათ ილია მოკლეს, მაშინ დღევანდელი „დემოკრატებისათვის" და თვით პოპიაშვილისათვის ძნელია გამონახო ისეთი ეპითეტი, რომელიც მათ უგნურობას და ხალხისადმი სიძულვილს დაადასტურებდა. მე კი ვიტყოდი, რომ ესენი არიან შავი ჭირის მთესველები, ნამდვილი ცოფიანი ძაღლები! ნუთუ დღემდის ვერ გაიგეს, რომ ილია მოკლეს მენშევიკებმა და არა კომუნისტებმა. რომ ილიას დიდად აფასებდა სკკპ. გაზეთმა „პრავდამ" ილია შეაფასა, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპოპულარესი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ილია მოკლეს პოპიაშვილის მსგავსმა გადაგვარებულმა ანტიქართველებმა.

ა.პოპიაშვილი განაგრძობს: ილიას მკვლელობის შემდეგ ქართველი მარქსისტ — ინტერ-



სურათზე: სახლი, სადაც მოთავსებულია გაზეთ „საქართველოს" რედაქცია, რომელშიც მოღვაწეობენ „მშრომელი ხალხის უბოროტესი მტრები"

ნაციონალისტების აქტივშია 1921 წელს რუსეთის ჯარით საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ გამოლაშქრება სერგო ორჯონიკიძის წინამძღოლობით და კრემლიდან სტალინის დასტურითა და ხელმოწერით, 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობა, 1937 წელს ქართველი მწერლებისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლობის დახვრეტა და ა.შ." აქ ძველი სიცრუის ჰანგის ახალი გადამღერებაა და სხვა არაფერი, მაგრამ ამას პოპიაშვილი აიალსაც უმატებს. თურმე ბოლშევიკებმა ხალხს ჩამოართვეს ყველაფერი, რაც ებადათ და საბოლოოდ ადამიანები სახელმწიფო მოხელეთა ხელში შემყურე მათხოვრებად აქციეს, მათ ქვეყანა ერთ დიდ საკონცენტრაციო ბანაკს, დიდ ციხეს დაამგვანეს, სადაც უზრუნველად ამ ციხის უფროსები ცხოვრობდა".

აი პოპიაშვილის ბოროტება სადამდის მიდის. ამ სტრიქონების ავტორს ალბათ პირში ბალახი აქვს ამოსული და მცოხნავ ცხოველად არის გადაქცეული, ამიტომ ვერ არჩევს ფერებს და რაც პირზე მოადგება, ყველაფერს ბლაჯნის. ვფიქრობ ყველა კეთილი ნების ადამიანი დამეთანხმება, რომ ბოლშევიკებმა ხალხს არაფერი წაართვეს, პირიქით უბრალო უმცირესობას, რომლებიც ხანგრძლივ პერიოდში ხალხის სისხლით იკვებებოდნენ — ექსპლუატატორებს — ჩამოართვეს და ხალხს დაუბრუნეს. რაც შეეხება საკითხს, თითქოს, „უზრუნველად ციხის უფროსობა ცხოვრობდა", ეს ისეთი სისულელეა, ალბათ, ევროპელი ჭორიკანა დედაკაციც ვერ მოიგონებდა. ამ „ციხის" ყველაზე დიდი უფროსი მოკლებული იყო ყოველგვარ ფუფუნებას და მართლ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავდა.

მოჰყვები წერილის სტრიქონებს და [illegible], ნუთუ ადამიანი მორალურად და ზნეობრივად ისე უნდა დაეცეს, რომ ყურმოკრული ჭორი, მართალიც რომ იყოს, გაზეთის ფურცლებზე მოათავსო და არა სცხვენოდეს. აბა მოვუსმინოთ თვითონ პოპიაშვილს:

„თორემ ბოლოსდაბოლოს რა საამაყოა სტალინელობა, როცა ამ კაცის წარმომავლობა და ვინაობაც საეჭვო ბურუსითაა მოცული. ოფიციალურად ჯუღაშვილადაა ცნობილი, გადმოცემებით კი სხვა გვარის კაცის ნაშიერადაა მიჩნეული, ჩვენ ქართველად ვაღიარებთ, მისი შვილები კი მას რუსად იცნობენ... ანდა სტალინის სახით მსოფლიოს წინაშე ქართველთა რომელ „ვალმოხდაზეა" ლაპარაკი, როცა ეს კაცი ბოროტების იმპერიის შექმნაში და მსოფლიო საზოგადოებრივი პროგრესის თითქმის ერთი საუკუნით შეფერხებაშია ბრალდებული?!" ამაზე იტყვიან უსინდისო ვირზე იჯდა, აცე-აცეს იძახდაო.

როგორც ვხედავთ პოპიაშვილი, სხვას რომ ყველაფერს დავანებოთ თავი, სტალინის „ნაშიერობით" ჩირქსა სცხებს ქართველ მანდილოსან ქალებს და ცოფიანი ძაღლივით ჰკბენს. ქართველი მანდილოსანი ქალების პატიოსნება ოდითგანვე შარავანდედით მოცული მცნებაა. ქალის კულტის მცნება ქართველი მამაკაცის სისხლსა და ხორცში იყო გამჯდარი. ორი მოშუღარი კაცი რომ სამკვდროსასიცოცხლოდ ერკინებოდა ერთმანეთს, საკმარისი იყო ქართველ ქალს თავისი მანდილი გადაეგდო მოშუღართა შუაში და ისინი დაზავდებოდნენ და ეს ვიღაცა პოპიაშვილი ასეთ მანდილოსან ქალებს გვილანძღავს. ისე ხომ არ არის, ბრძენი ხალხი რომ იტყოდა: ჩემი შენ გითხარი გული მოგიკალიო, ან დიდი შოთა რომ ამბობს: კოკასა შიგან რაცა დგას იგივე წარმოდინდებისო. თვითონ ხომ არ არის უცხო კაცის ნაშიერი?

ნამდვილად გადაგვარებული ქართველის — ა.პოპიაშვილის წერილი მთლიანად სიცრუის შმორიანი ჭაობია და ყველა სატანისტური აზრის გამოდევნება შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ერთი მაინც [illegible] ავღნიშნო. პაოპიაშვილი [illegible]: „კახეთში ხალხმრავალ ქორწილში იქ მყოფმა დ.მჭედლიშვილმა („კომუნისტის" ყოფილი რედაქტორი) მოულოდნელად თამადას სიტყვა სთხოვა და სტალინის სადღეგრძელო შესვა". სადღეგრძელოში თურმე სტალინი განადიდა და ილია დააკნინა, (ცხადია მჭედლიშვილი ილიას არ დააკნინებდა) და შემდეგ განაგრძობს: „უნდა ითქვას, რომ ამ სტალინურ — სატანისტურ გამოხტომას გართულება მოჰყვა... მაგრამ აქ საინტერესო მხოლოდ ისაა, თუ მაინც რა რჯიდა, რა ამოძრავებდა მას სტალინის ამ განდიდებისა და ილიას დაკნინებისას".

ეს ბრწყინვალედ შეთითხნილი ამბავია, მაგრამ პოპიაშვილს მაინც მინდა ვკითხო: თუ დ.მჭედლიშვილს არ მოეთხოვებოდა იდეოლოგიური მუშაობა მასებში", თქვენ პოპიაშვილს ვინ გავალებთ, რა გრჯით, რომ გაზეთში ჭორის დონეზე ავრ-

გაგრძელება მე-7 გვ.

ჟურნალ-გაზეთების ხილვადობის მიზნით: ყოფილი მაღალი ჩინის ჩეკისტი ალექსანდრე ორლოვი ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში აღმოჩნდა დასავლეთში. მან უცხოეთში გამოაქვეყნა თავისი გახმაურებული მემუარები, რომლებშიც ბრალს სდებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს (იმ დროს საკავშირო დაზვერვის, კონტრდაზვერვის და შინაგან საქმეთა წესრიგის დამცველი ორგანოები ერთ უწყებას წარმოადგენდა).

ამ მემუარების ერთი ნაწილი გამოქვეყნდა ჟურნალ „ოგონიოკში".

მკითხველს ვთავაზობთ ამ მოგონებების ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტს.

* * *

# მსოფლიო მასშტაბის ყაჩაღობათა ისტორიიდან

# სტალინი და ესპანეთის ოქრო

## (ბრალს სდებს თანამონაწილე)

ალექსანდრე ორლოვი

ესპანეთის საპორტო ქალაქ კარტახენიდან შებინდებულზე გავემგზავრეთ. მანქანაში ჩემს გვერდით იჯდა ესპანეთის ფინანსთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი, რომელსაც შიში და შეშფოთება ნათლად ეხატებოდა სახეზე.

ჩვენს ავტომობილს საბარგო მანქანა მოჰყვებოდა და მთელი ეს კოლონა ჩრდილოეთისკენ, ესპანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზისაკენ მიეშურებოდა. თუმცა ჩვენ არც სამარი ტექნიკა გვაინტერესებდა და არც ფეთქებადი მასალა. ამ მისიის მიზანი გაცილებით უფრო სერიოზული იყო.

დათქმულ ადგილზე უკვე დაღამებულს გამოვცხადდით. მანქანის მძღოლებმა ფარები ჩართეს (ცენტრალურ გზაზე მოძრაობის დროს მათი გამოყენება აკრძალული ჰქონდათ) და მე დავინახე სამხედრო ბაზის რკინით შესალტული მძიმე კარი და შეიარაღებული დაცვა.

ჩვენ კარგად მოვლილი ბაზის ტერიტორიაზე აღმოვჩნდით, მერე კი ცენტრში მოთავსებულ საწყობში შევედით, რომლის კედლების გასწვრივ ათასობით ხის ყუთი ეწყო. მხოლოდ ერთეულებმა იცოდნენ, რომ ამ საგულდაგულოდ შემოსალტულ და დალუქულ ყუთებში ოქროს ზოდები და რამდენიმე მილიონის ოქროს მონეტები ეწყო — სახელმწიფო ქონება, რომელსაც პირენეის უძველესი ხალხი მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე აგროვებდა და თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა.

საკავშირო მთავრობის განკარგულებით ჩვენ სწორედ ამ განძის წასაღებად ვიყავით აქ მოვლინებული. ესპანეთის ოქროს ხელუხლებელი მარაგი მოსკოვში უნდა გაგვეგზავნა.

ეს ყველაფერი 1936 წელს მოხდა, სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე.

მე ვხელმძღვანელობდი, ეგრეთ წოდებულ „ოქროს ოპერაციას", რომელიც დეტალურად, წუთებში იყო გათვლილი.

ესპანეთის რევოლუციის ბელადებმა იმის შიშით, ეს უძვირფასესი განძი გენერალისიმუს ფრანკოს მფლობელობაში არ აღმოჩენილიყო, გადაწყვიტეს სახელმწიფოს მძიმე დღეებისათვის გადანახული ქონება „დროებით შესანახავად" საბჭოთა კავშირისათვის მიებარებინათ.

მიუხედავად ორივე სახელმწიფოს მაღალი ინსტანციების ერთობლივი გარიგებისა, მე ამ მოქმედებას XX საუკუნის უდიდეს თაღლითობას ვუწოდებ.

რუსეთისათვის ესპანეთის ოქროს გადაცემა (600 მილიონი დოლარი 1936 წლის კურსით) წლების მანძილზე იდუმალებით მოსილ ლეგენდად იქცა. ათასგვარი მითქმა-მოთქმით დაიხუნძლა და აირ-დაირია. მიუხედავად, რომ ამ ოპერაციის მონაწილეთაგან ომის შემდგომ ორი ადამიანიღა დავრჩით ცოცხალი — მე და ერთი ესპანელი.

მადრიდში 1936 წლის 16 სექტემბერს ჩაველი. სამოქალაქო ომი ორი თვის დაწყებული იყო. მე დავალებული მქონდა საბჭოთა სამხედრო მისიის სადაზვერვო უწყების ხელმძღვანელობა და რესპუბლიკელთა მთავრობის დაზვერვის, კონტრდაზვერვის და პარტიზანული ბრძოლების კოორდინირება.

როგორც აქ მოვლინებული რუსების უმრავლესობას, მეც სულითა და გულით მსურდა რესპუბლიკელთა გამარჯვება.

ჩემი ჩამოსვლიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ საბჭოთა საელჩოს რადისტმა გადმომცა რადიოგრამა გრიფით: „სრულიად საიდუმლოდ. გადაეცეს პირადად „შვედს" („შვედი ჩემი ფსევდონიმი გახლდათ). ტექსტი კი შემდეგს ბრძანებდა: „მოელაპარაკეთ პრემიერ-მინისტრ ლარგო კაბალეროს ესპანეთის ოქროს საბჭოეთში გადმოგზავნის თაობაზე. აუცილებლად ჩვენი გემებით. დაიცავით გასაიდუმლოების უმკაცრესი წესები. თუ ესპანელები ხელწერილს მოითხოვენ, კატეგორიული უარი განაცხადეთ. გიმეორებთ — სრული უარი. დაარწმუნეთ, რომ ყველა სათანადო საბუთი გაფორმდება მოსკოვში, სახელმწიფო ბანკში განძის მითვლის შემდეგ. ოპერაციაზე პირადად ხართ პასუხისმგებელი. ივან ვასილევიჩი". ეს ფსევდონიმი ადასტურებდა, რომ ბრძანება პირადად სტალინის გაცემული იყო.

ამ დროისათვის მადრიდის გარშემო ყულფი ინასკვებოდა. ქალაქი დღე-დღეზე ნაციონალისტების ხელში უნდა გადასულიყო. საბჭოთა კავშირისათვის ოქროს მარაგის გადაცემის 13 სექტემბრის დეკრეტს ხელი მოაწერეს პრეზიდენტმა მანუელ აზანამ და ფინანსთა მინისტრმა, დოქტორმა ხუან ნეგრინმა. განძის ადგილმდებარეობა დეკრეტში არ იყო მინიშნებული. უბრალოდ ფინანსთა მინისტრს ავალებდნენ მოენახა „ოქროს გარკვეული რაოდენობისათვის სათანადო და უსაფრთხო ადგილი".

ესპანეთის პარლამენტს ამ ოპერაციის შესახებ აცნობეს და მიუხედავად იმისა, რომ დეკრეტის ოფიციალურ საბუთში საბჭოეთის ხსენებაც კი არ იყო, ნეგრინმა დახმარებისათვის მაინც საბჭოთა საელჩოს სავაჭრო წარმომადგენლობას მიმართა. აქედან თავის მხრივ ფაქტი მოსკოვს აცნობეს და სტალინი „დიდსულოვნად" დათანხმდა.

სტალინისაგან მიღებული დეპეშა-დირექტივის მიღების მეორე დღესვე მე პირადად შევხვდი ნეგრინს. ფინანსთა მინისტრი ინტელიგენციის იმ ტიპურ წარმომადგენლებს ეკუთვნოდა, რომლებიც „კომუნიზმს, როგორც თეორიას, არ აღიარებდნენ, მაგრამ რუსეთის დიდ ექსპერიმენტს თანაუგრძნობდნენ".

მინისტრის მიმნდობი ხასიათი და გულუბრყვილობა დიდად დაგვეხმარა ოქროს მარაგის უმტკივნეულოდ გადაგზავნის საქმეში. ამაში ფრიად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმანაც, რომ ისტორიის არსებულ მონაკვეთში ესპანეთის რესპუბლიკურ ხელისუფლებას საბჭოთა კავშირის გარდა ფაქტობრივი დამხმარე არ ჰყავდა.

„სად არის ოქრო?" — ვკითხე მე.

„კარტახენის მახლობლად, გასაიდუმლოებულ სამხედრო საწყობში, — მიპასუხა ნეგრინმა.

კარტახენა ჩვენთვისაც ხელსაყრელი იყო, რადგან ამ პორტში ყოველთვის იდგა ცარიელი საბჭოთა გემები, რომლებსაც რესპუბლიკელებისათვის საომარი იარაღი ჩაჰქონდათ.

ფინანსთა მინისტრის გარდა საქმის კურსში იყო ესპანეთის კიდევ ერთი მინისტრი, რომელიც სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ძალებს ხელმძღვანელობდა. მას უშუალოდ ევალებოდა რუსეთისაკენ მიმავალი გემების დაცვა და უსაფრთხოება.

სიტუაცია სწრაფ და მოქნილ მოქმედებას გვკარნახობდა, რადგან საკმარისი იყო „ოქროს ოპერაციის" ფაქტი გახმაურებულიყო, რომ იტალიელებიც და გერმანელებიც ყოველ ღონეს იხმარდნენ მის ხელში ჩასაგდებად. მეტიც, თავად ესპანელები ჩაგვიკეტავდნენ ნავსადგურს და არც გასამტყუნნი იქნებოდნენ, რომელი სახელმწიფო ისურვებს, თავისი ნებით



გადასცეს საკუთარი ეროვნული განძი სხვა ქვეყნის მფლობელობაში.

ახლა კი მოსკოვში შექმნილი სცენარით ჩემს პირად განკარგულებაში გადმოდიოდა ოქროთი პირთამდე სავსე ათი ათასი ყუთი. ყოველ ყუთში 145 გირვანქა პატიოსანი ლითონი ეწყო, რომლის საერთო წონა 725 ტონას შეადგენდა.

მეორე დღესვე კარტახენაში გავემგზავრე. ჩემი ძველი მეგობარი ნიკოლოზ კუზნეცოვი (მომავალში საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრი) უკვე პორტში მელოდა. მას დავალებული ჰქონდა სრულ მზადყოფნაში მოეყვანა საბჭოთა გემები, რომელთა საომარი ტექნიკისაგან დაცლა და განთავისუფლება უკვე მოესწროთ.

ოქროს ტრანსპორტირების პრობლემა როგორღაც თავისთავად წყდებოდა — რამდენიმე საათის წინ აქ საბჭოთა სატანკო ბრიგადა გადმოსხეს. ბრიგადის პოლკოვნიკი კრივოშეინი მეთაურობდა. მან სრულიად დაუბრკოლებლად გამოიყო 20 სატვირთო მანქანა და საუკეთესო მძღოლებიც მომამაგრა.

უკლებლივ ყველა მძღოლს ესპანელი მეზღვაურების ფორმა ჩავაცვით, ხოლო კოლონის თანხლება და დაცვა 60 ესპანელს დაევალა, რომლებსაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა ეწყო ყუთებში. არც საბჭოთა გემებზე იცოდა ვინმემ ტვირთის ჭეშმარიტი მნიშვნელობა და ფასი.

ესპანელები, რომლებიც ტვირთს იცავდნენ, ახალგაზრდები იყვნენ, თითქმის ყმაწვილები, და თითქოს განზრახ შეურჩევიათო — ყველანი ტანმორჩილები. შემდეგ შევატყვე, რომ მათ წყალქვეშა მეზღვაურებად წერთნიდნენ. თითოეული მათგანი ორ-ორ ყუთს იღებდა და სატვირთო მანქანისაკენ მიჰქონდათ. მანქანები ათეულებად ეწყობოდნენ და კოლონებად მიემართებოდნენ პორტისაკენ. ყოველ ასეთ ათეულს 500 ყუთი გადაჰქონდა. დატვირთვა და გადაზიდვა მხოლოდ ღამით ხდებოდა. დღისით ყოველგვარი მოქმედება აკრძალული გვქონდა. „ოქროს ოპერაციის" შესრულებას სამი ღამე დასჭირდა და სამივე ისეთი ღამე იდგა, ჩვენს საქმეს რომ [illegible] უსაფრთხო და მრუდე.

მანქანები ჩამქრალი შუქფარებით მოძრაობდნენ, ხშირად ეროდნენ გზაჯვარედინებს და ჩერდებოდნენ.

ყველაზე მეტად რესპუბლიკელთა პატრულისა მეშინოდა. ფაქტი იყო, რომ „ესპანელი" მძღოლებიდან ერთმაც არ იცოდა ესპანური ენა: პატრული მათ აუცილებლად გერმანელ დივერსანტებად მიიღებდა და დააპატიმრებდა, მერე ყუთებს გახსნიდნენ და... ეშმაკმა უწყის, მერე რას მოიმოქმედებდნენ.

მეორე დიდი საშიშროება სამხედრო ბაზის შესაძლო დაბომბვა გახლდათ. კარგად ვიცოდი, აქ თავმოყრილ უამრავ ფეთქებად მასალას ერთი ბომბიც რომ დასცემოდა, ჩვენ, ოქროსთან ერთად, უთვალავ მოლეკულად დავიშლებოდით. ღამეში საშუალოდ ოთხი საათი მეძინა. ესპანელები ბაზის ტერიტორიაზე არსებულ გამოქვაბულში აჩქარებდნენ დასვენებას. ხშირად შევსწრებივარ წვრილ ფულზე ბანქოს მოთამაშე ესპანელებს, რომლებიც ყუთებზე ისხდნენ, იმ ყუთებზე, ოქროთი რომ იყო პირთამდე სავსე.

ბოლო ღამეს ფაშისტური ავიაცია მაინც დაგვესხა თავს. დიდხანს და გულმოდგინედ ბომბავდნენ პორტს და რესპუბლიკელების ერთი კრეისერიც კი ჩაძირეს. აქაც ბედმა გაგვიღიმა, ჩვენი არც ერთი გემი არ დაზიანებულა.

გამთენიისას გემების დატვირთვა დამთავრდა. ტრიუმებში 7800 ყუთი იყო მოთავსებული, — ესპანეთის სახელმწიფო ოქროს მარაგის თითქმის სამი მეოთხედი.

როდესაც უკანასკნელი ყუთი დავაბინავეთ, საკმაოდ უსიამოვნო წუთების განცდა მომიწია. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ხელწერილი მომთხოვა. მე თვალს ვარიდებდი და თავის დაძვრენას ვცდილობდი.

„კომპანიერო, — უსინდისოდ ვატყუებდი, — მე არა ვარ უფლებამოსილი, ხელწერილი მოგცეთ, მაგრამ ეს ნუ შეგაშფოთებთ, როგორც კი მოსკოვში ჩავალთ, იქ სახელმწიფო ბანკში ოქროს მითვლიან და სათანადო დოკუმენტაციასაც გადმოგცემენ. ყველა ფორმალური საკითხი იქ მოგვარდება".

ესპანელი არა თუ შეწუხებული, გვარიანად დაშორებულიც კი იყო. [illegible] პერიოდში მცირე შეცდომაც სიცოცხლის ფასად ჯდებოდა. ფინანსთა სამინისტროს [illegible] წარმომადგენელი რომ [illegible] განძის გამგზავნ[illegible] [illegible] გემზე. ჩემთვის ამ წარმომადგენლობას არავითარი ზიანის მოტანა არ შეეძლო, რადგან განძი უკვე საბჭოთა გემებზე იყო მოთავსებული.

ორი საათის შემდეგ გემების ქარავანმა ოდესისაკენ აიღო გეზი.

ოპერაციის შემდგომ მიმდინარეობაში, მართალია, მონაწილეობას აღარ ვღებულობდი, მაგრამ მისი დეტალური აღდგენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან გემების თანმხლებ ბევრ მონაწილეთაგან პირადი მეგობრობა და ურთიერთობა მაკავშირებდა.

ოდესაში გემების ჩასვლამდე საბჭოთა კავშირის ყველა რეგიონიდან, განსაკუთრებით მოსკოვიდან და კიევიდან, მივლინებული იქნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის აურაცხელი თანამშრომელი, რამდენიმე დღის მანძილზე ისინი, როგორც რიგითი მტვირთავები, გემებს ცლიდნენ და ძვირფას ტვირთს განსაკუთრებული დანიშნულების მატარებლის შემადგენლობისაკენ ეზიდებოდნენ.

ქალაქის ქუჩები სამხედრო ნაწილებით იყო გადაკეტილი, ხოლო როდესაც მატარებელი დაიძრა, მას ახლობით მაღალი ჩინის ოფიცერი გაჰყვა.

საბოლოოდ ესპანეთის სახელმწიფო განძი მოსკოვში აღმოჩნდა.

სტალინმა ოპერაციაში მონაწილე ოფიცრებისათვის მდიდრული ვახშამი გამართა. ამ თავყრილობას სრული შემადგენლობით ესწრებოდა პოლიტბიურო. დიქტატორი მშვენიერ გუნებაზე იყო. იოსებ ბესარიონის ძეს, რომელმაც რევოლუციური მოღვაწეობა ექსპროპრიაციით დაიწყო (ჩვეულებრივ მოკვდავთა ენით ყაჩაღობა რომ ჰქვია), ასეთი მასშტაბის წარმატებამ, უდავოდ, ახალგაზრდობა გაახსენა.

ეჟოვმა, ერთ ჩემს ახლობელს, რომელიც ამ დროებას ესწრებოდა, საიდუმლოდ გაანდო ის, რაც სტალინმა ვიწრო წრეში განაცხადა: „ესპანელები ისევე ვეღარ იხილავენ ამ ოქროს, როგორც საკუთარ ყურებს".

„ოქროს ოპერაციის" წარმატებით დასრულებიდან 21 თვე გავიდა და ესპანეთის განძის შემდგომი ბედით არავინ დაინტერესებულა. მხოლოდ ერთხელ ფინანსთა მინისტრმა ნეგრინმა მკითხა გაოცებით: „სად გაქრა სამინისტროს ის ოთხი წარმომადგენელი, რომლებიც ოფიციალურ პირებად გაჰყვნენ რუსეთში სახელმწიფო განძს? რატომ არ ბრუნდებიან სამშობლოში?"

მისი ეს შეკითხვა პოლიტიკურად ბეცი ინტელიგენტის გულუბრყვილობის საუკეთესო ნიმუში იყო.

უდავოა, ფრანკო მადრიდის აღებისთანავე შეიტყობდა ოქროს მარაგის გაქრობის ფაქტს, მაგრამ მას კრინტიც არ დაუძრავს არა თუ მაშინ, არამედ არც შემდგომი 18 წლის მანძილზე. საქმე იმაშია, რომ მუდამ არამყარი ესპანეთის ვალუტა, რომელიც მსოფლიო ბაზარზე არამდგრადობით გამოირჩეოდა, ოქროს მარაგის გატაცების გაცხადებისთანავე მსოფლიო სავალუტო ბირჟაზე წამში გაუფასურდებოდა.

საიდუმლო მხოლოდ 1956 წელს, ხუან ნეგრინის გარდაცვალების შემდეგ გახმაურდა, მაშინ, როდესაც მის პირად არქივს ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ახარისხებდნენ.

რამდენიმე თვის შემდეგ, „პრავდამ" გამოაქვეყნა სტატია, სადაც ავტორი აცხადებდა, რომ 1936 წელს ესპანეთიდან 500 ტონა ოქროს გადმოზიდვა ფაქტია! მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ამბავი, რომ სამოქალაქო ომის დროს ესპანეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირს არ გადაუხადა უზარმაზარი თანხა სამხედრო-საომარი ტექნიკის მიწოდებისათვის. მართალია სსრკ-მ მიიღო 500 ტონა ოქრო, მაგრამ მისმა ღირებულებამ ესპანეთის სახელმწიფო ვალი მთლიანად მაინც ვერ დაფარა და ამჟამად ეს დავალიანება 50 ათას დოლარს აღემატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთმესვენება - იუმორის გვერდი

# კურიოზები

რუბრიკას უძღვება საქართველოს სახალხო არტისტი

## ელენე საყვარელიძე

> არც რა მიშველა ტირილმა,
> არცა ცრემლების დენამა,
> მიშველა ისევ სიცილმა,
> ლაქარდიანმა ენამა.

### ნეტ, ოტეც, ნეტ!

რეჟისორმა ვასო ყუშიტაშვილმა მარჯანიშვილის თეატრში მ.ჭრელაშვილის „ზვავი" დადგა. ვასო გოძიაშვილი თინიბეგის შვილის გეგას როლს თამაშობდა, თინიბეგს კი სერგო ზაქარიაძე.

ვასო ყუშიტაშვილი აბსოლუტურად ლექსავდა მსახიობებისათვის. ყველას კუდში დასდევდა. მივიდა ვასოსთან და როგორც ყოველთვის, რუსულად ეკითხება: „ტებე, ნიჩევო ნე მეშაეტ?". ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჰკითხა: „ვასო, ტი ნიჩეგო ნე ხოჩეშ?". ვასოს კი რუსულიც აღიზიანებდა და ეს ზედმეტი ზრუნვაც, ამიტომ რაღაცა ჩაიბურტყუნა. ყუშიტაშვილი ახლა შეეკითხა „ტი ჩემ ნიბუდ ნედავოლენ?" ვასომ კი იყვირა — მნე ნიჩეგო ნე ნადო, ასტავ მინია ვპოკოე!" ეს გაბრაზება სცენაზეც შეჰყვა და იმის მაგიერ, რომ სერგო ზაქარიაძეს უთხრას „არა, მამა, არაო მახალა" — „ნეტ, ოტეც, ნეტო!"

### სიდედრი აპოვნინა

ერთ ახალგაზრდა მსახიობ კაცს მიდრეკილება ჰქონდა ჩაიერი ქალებისაკენ. ჰო და მოგეხსენებათ სახელის გატეხას ბევრი არაფერი სჭირდება.

ერთ დღეს საშინელი ამბავი დატრიალდა. ერთი მსახიობის ცრემლ სკლეროზით დაავადებული სიდედრი სახლიდან წავიდა და... დაიკარგა.

აქეთ ეცნენ, იქეთ ეცნენ, აქედან დიდი ალიაქოთი, მაგრამ სამი დღე გავიდა და ის არ ჩანდა... ბოლოს დაწრეულებული სიძე ვასო გოძიაშვილს ახე დაუშვიდებია:

თუ მაღაროშის იკითხებ, მე ვიცი სადაც იქნებათ. მაღაროში თაწმოაა რომ მოიტო. გაავრცელე: სანამ ხელს დავდებ თუ ისის... (დასახელდა ის ყმაწვილი) არ ეყოლება წაყვა-



ნილი...

### ზოგი რამ იპოლიტე ხვიჩიაზე

საყვარელი მსახიობი და მეგობარი პიროვნება იპოლიტე ხვიჩია. ქალაქში ჩემი არცოდნის გამო მკვდარი არ მინახავს... და არც მგონია მკვდარი. მგონია სადღაც გადაღებაზეა წასული და ჩამოვა... იპოლიტე ერთ-ერთი იმათგანია, რომელთანაც წმინდა შემოქმედების გარდა პირადი მეგობრობაც მაკავშირებდა. მან დიდებულად იცოდა სუფრის მეგობრობა. ჰქონდა ტაქტი და ასეთიგად სუფრას არ უყვარდა სადღეგრძელოს გადაღლახვა-გადამლაშება. მისი შინაგანი მუხრუჭი არასოდეს აძლევდა უფლებას უწმაწურობაში გადასულიყო. სიკვდილის უკრო გამოაჩინა მისი დიდი ბუნება. მის მაგალითად ერთი პატარა ამბავს მოგიყვებით: ახალგაზრდობისას იპოლიტეს ერთი ქალი უყვარებია. ერთიერთი სუფარში გამოიყვა, რომ ის ქალი ჩემი ნათესაი იყო. კარგახნის გარდაცვალების. იპოლიტე ხშირად იგონებდა ხოლმე. წარსულზე მიხსნიდა. მიდი აქ, გოგო. ერთ სიდედრის გაგასწორებ. ნათლიაშვილი რომ კვდებოდა, სულ იმას მიბარებდა. - გოგოს მიმიხედეთ. მკვდრის სურვილი კანონია ხომ იცით? მე იპოლიტეს სახიყვარულო სახელად „პუპუნეს" ვეძახოდი. რამდენი ვეტყოდი ამ სახელს, იმდენჯერ მიპასუხებდა, გაჩერდი, თორემ გაპუპუნებ მე შენს... ეს იყო ყველაზე დიდი „უწმაწურობა", რაც მისგან გამიგონია.

ქუთაისში გასტროლების დროს სულ ანშლაგით ვთამაშობდით ლევან სანიკიძის „ქუთაისურებს". ეს პიესა, რომლის დადგმა ეკუთვნის დიდო ანთაძეს, მაინცადამაინც სანიკიძის კალმის დიდ შესაფერისად არ ჩასთვალა მაშინდელმა პრესამ. მაგრამ ამდენი ანშლაგი, ამდენი წარმატება და ამდენი სიცილ-ხარხარი არცერთ წარმოდგენას არ ღირსებია. მუდამ გვქონდა შიში, დარბაზი არ გახეთქილიყო და იარუსები არ ჩამონგრეულიყო. ასე გრძელდებოდა რამდენიმე სეზონის განმავლობაში. არ გაინტერესებთ რას უწუნებდნენ მაშინ პიესას? რათ და სადაა საბჭოთა საქართველოში ამდენი მექრთამე, ამდენი პროტექციონიზმი, ამდენი გაუტანლობა, სიყალბე და კორუფციაო. გესმით სალხო? მაშინ კინაღამ შეჭამეს ავტორი.

ამ ჩვენი „ქუთაისურებით" დასავლეთ საქართველოში წავედით გასტროლებზე. ჩვენთან იყვნენ ნამდვილი ქუთაისურები: პიესის ავტორი ლევან სანიკიძე, დამდგმელი დიდო ანთაძე, ქუთაისელების კუმირი იპოლიტე ხვიჩია და ჩვენ სენაკელის მონაწილენი. სენაკელის შემდეგ ქუთაისისაკენ გამოვეშურეთ. ლევან სანიკიძე ჰაშერის რესტორანში შესანიშნავი ბანკეტი მოგვიწყო. როცა გასამგზავრებლად გამოვედით, იპოლიტემ მითხრა, ხომ გაპუპუნე გოგოო. გამოვბრუნდი და ვნახე, ამისთანა პუჩხარული პუპუნებაცაა და ფუფუნებაცაო! ქუთაისამდე მთელი გზა ოხუნჯობდა იპოლიტე. მე ქუთაისში ნათესავებთან ვცხოვრობდი და იპოლიტეს ვთხოვე, არ აქეთ იქ ჩამური და ღრიანცელი, ბიცოლაჩემთან არ შემარცხვინო-მეთქი. კი, ამოიქა. მე ნელა გადმოვედი ავტობუსიდან და სახლისაკენ წავედი. ამ დროს იპოლიტემ იყვირა:

— ბიცოლა!

ბიცოლაჩემი მეორე სართულის ფანჯარას მიადგა და ნაძირალა ხმით, რომელი ხარ შვილო, ქუთაისურად იკითხა.

— იპოლიტე ვარ ხვიჩია. ჩაიბარეთ თქვენი ნათესავიო. — შეეპასუხა. მე ვფიქრე, ბიცოლაჩემი გაგიჟდება-მეთქი. შენც არ მომიკვდე.

— უი, იაპოლიტე, მობრძანდი შენ გენაცვალეო — გადმოსძახა. გაკვირვებულმა შევეკითხე ბიცოლას, საიდან იცნობ იპოლიტეს-მეთქი.

— რას ქვია საიდან? მაგი რომელ კარს არ უნდა მიადგეს, ყველა ასე შეეგებებათ. ეს მე ვერ გავთვალე!

და კიდევ ერთი პატარა მოგონება: თბილისში წარმოდგენის შემდეგ მე და იპოლიტე ერთად მივდიოდით საბურთალოსაკენ. ორივე იქ ვცხოვრობდით და მაშინ არცერთს არ გვყავდა პერსონალური მანქანები.

საბურთალოს ავტობუსში ავედით და მე წინ და ჩემს უკან იპოლიტე ჩამოვჯექით სკამებზე. წინა კარებიდან ვიღაც ქალი ამოვიდა. ვიღაცას ფული — კარგად გაისხენეთ, ხუთი კაპიკი რომ ღირდა ბილეთი, იმ დროზე ვამბობ. — გადააწოდა და ცოტა ხანში საშინლად აკაპასდა ეს ქალი.

— ხურდა რატომ არ დამიბრუნეთ? მე ათი კაპიკი გადმოგაწოდეთ და რაშია საქმე, აქათ და კოსტუმში ასლითაათ და ფული აღარ დაგვჭირდებათ? — შემდეგ მაინც არ დაცხრა და ხელი კოსტუმზე ახსენებდა, აქეთ და ასლითაა არაო? იპოლიტემ ზურგში ხელი დამკრა და მთელი ავტობუსის გასაგონად წამოიძახა:

— გოგო, კითხე მაგ ქალს თუ ძალიან



ასლითაა კოსტუმში, ჩვენ უკან გადავუხდეთო!

ავტობუსში მოგუდული სიცილი ატყდა, რადგან იმ დროში ასეთი რამ სახიფათო იყო.

### თეატრს თუ სჭირდები...

იტყვიან თეატრს თუ სჭირდები, ყველაფერს შეგისრულებენო. სრული ჭეშმარიტებაა, ჩემს თავზეც კი გამოვცადე ეს, ვჭირდებოდი, ბატონებო, და...

თუმცა სჯობია თავიდან დავიწყო ყველაფერი: რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში დიდი ხნის წინ რობერტ სტურუამ ვ.როზოვის პიესა „ვასშშობის წინ" დადგა. მართლაც კარგი წარმოდგენა იყო და მაყურებელს ძალიან მოსწონდა იგი. აქ ფართო აუდიტორიის წინაშე ხუთი ახალბედა მსახიობი წარსდგნენ, როგორებიც იყვნენ: ია გოგოტიშვილი, ბელა მირიანაშვილი, გოგი ქავთარაძე, იმათი ნიჭიერება შემდეგ მონაკვლინაც დაამტკიცა. შუა თაობიდან იქ იყვნენ: სალომე ყანჩელი, გოგი გეგეჭკორი, ეროსი მანჯგალაძე, ზინა კვერენჩხილაძე, მეც მათ შორის გახლდით. ყველა ჩვენთაგანს გვიყვარდა ჩვენ ჩვენი როლები, ერთმანეთიც გვიყვარდა, ესე, როცა სარუმათ მოგწონს.

ისე, როგორც ყოველთვის, ახალ პრემიერაზე მოვიწვიეთ ნათესავ — მეგობრები და გარეშე სტუმრებიც. მოვიწვიე ჩემი მოსკოველი სტუმრები, ცნობილი ახალგაზრდა დრამატურგი ვიქტორ სლავკინი და მისი მეუღლე ნინა, ცოდნით ჟურნალისტია. მე ძალიან მიყვარდა. მათი ნატვრაა მნახონ სცენაზე და აი, მომეცა კიდეც შესაძლებლობა.

ამ პრემიერაში ძალზე მომგებიანი როლი მქონდა, სახელად ერქვა ოველია, ეს იყო პროფესორის ოჯახის მეზობელი, სომხის ქალი, რომლის ფანჯარას ჩაამსხვრევს პროფესორის ვაჟის ბურთი, როლს ასრულებდა გოგი ქავთარაძე. მე — ოველია, ისედაც ანჩხლი ქალი ბურთით ხელში გაცეცხლებული შემოვიჭრებოდი მეზობლისას, ყვირილითა და ლანძღვა-გინებით მოვასწორ-მოვასწორებდი იქაურობას, იქ უნდა ყოფილიყო რაღაც რეპლიკები, მაგრამ მე ლაპარაკს არავის ვაცლიდი და ჩემი სცენა მონოლოგად იქცა, მარტო მე ვაქაქანებდი და თავს ვესხმოდი არა მარტო ბიჭს ფანჯრის ჩატეხისთვის, არამედ მთელს ოჯახს, მთელს ქალაქს, პოლიტიკას და მთელ ცხოვრებას, ვანთხევდი ნაღველს ყველასა და ყველაფრისადმი... რეპეტიციების დროს რეჟისორი მ.თუმანიშვილი დიდად არ იყო ჩემით კმაყოფილი, ბოლოს კი წარმოდგენაში ერთ-ერთი წარმატებული სცენათაგანი იყო ეს ადგილი. ამ სცენის დროს ყველა მსახიობი კულისებში დგებოდა და ხარობდნენ.

ჰო და მოვიწვიე ჩემი მოსკოველი სტუმრები, რათა დამტკბარიყვნენ ჩემი, როგორც თვით ამბობდნენ, „ცეცხლოვანებითა და ოსტატობით".

პრემიერა... ეს ბედნიერების საკვე განცდა ჩვენი საკუთრებაა, მსახიობთა საკუთრება. ამ დროის სინათლის ეკონომიასაც კი არ ვეწევით. ყველა ნათურა აბრიალებულია, სარკეებთან რეჟისორის მორთმეული თითო მიხაკი დევს, ყვავილები და ფაციფუცია...

წარმოდგენის დაწყებას თხუთმეტი წუთი აკლდა, პირველი ზარი უკვე გაისმა, მე ფეხსაცმელების შესაკრავად დავიხარე და... სტოპკადრივით ასევე დავრჩი. წელის არეში საშინელი ტკივილი ვიგრძენი, ვკივი, სათოფეზე არავის ვიკარებ. წარმოდგენა საცაა უნდა დაიწყოს... დარბაზი გადაჭედილია, სხვა მსახიობის შეცვლა გვიანია... ვიღაცამ სასწრაფო დახმარებას გამოუძახოთო წამოიძახა და ეცნენ ტელეფონს. ბედზე სასწრაფომ არ დააგვიანა, დირექციამ კატეგორიულად მოითხოვა, წელში გამართეთ და სცენაზე როგორმე შეიდეს, ლაპარაკს აღარ დავეძებთო (ლაპარაკი ჩემთვის არ იყო პრობლემა), იათამბირეს, რამდენიმე ამპულას თავი გადატეხეს, მთომინებით აავსეს შპრიცი და ლურსმნისოდენა ნემსით დამეძგერნენ. მძიმე პაუზა ჩამოწვა, რადგან ყველა გატრუნულიყო საშინელი განაჩენის მოლოდინში...

— გაიმართეთ! მიბრძანეს, გავიმართე. მოიხარეთ — მოვიხარე. მოტრიალდით — მოვტრიალდი და ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. წარმოდგენას საშიშროება აღარ ემუქრებოდა... ეს კი გავიგე, რომ მსახიობებს დავალებებს აძლევდნენ, შეიძლება ჩაეძინოსო... მესამე ზარიც დაირეკა და გამარჯვებულებმა მცირე დარბაზისაკენ ავიღეთ კურსი. პრემიერებზე მე მუდამ ვღელავ, მაგრამ ამჯერად რაღაც არაჩვეულებრივი სიმშვიდე დამეუფლა. პარტერიდან შემოსული მაყურებლის სასური იავნანასავით მეალერსებოდა, მაგრამ ეროსი მანჯგალაძე რატომღაც არა მტოვებდა, თან ჩემი გასატანი ბურთი იმას ეჭირა (შემდეგ გავიგე რომ ეროსისთვის დაუვალებიათ, ჩურჩურად შემიპყარი ყბაში — არ ჩაეძინოსო). რატომ ეროსი? იმიტომ, რომ სხვები ყველანი სცენაზე იყვნენ, მე კი შესანიშნავ სასაიზე ვიყავი, ყველა მიყვარდა და განსაკუთრებით ეროსი და ვერც კი ვხვდებოდი მიტყუებდა თუ მეფერებოდა? თან იცინოდა, რა სულელური გამომეტყველება აქვსო, ალბათ იმიტომ, რომ ბედნიერებისაგან თვალები მელულებოდა. ვფიქრობდი ყვავილებზე, ადამიანებზე, თეატრზე, ყველაფერზე რაც მშვენიერია... მერე ისევ მომხვდებოდა ყურისძირში ეროსის დიდი თათი... ბოლოს აბა, შენ იცი მითხრა ეროსმა, ხელში ბურთი მომაწოდა და სცენაზე გასასვლელთან მიმაცილა... პირგამეხებულს უნდა შემერბინა სცენაზე. მე კი ზაქივით შევიზლაზნე, არც გოგი ქავთარაძეს ვერჩოდი და არც არავის, ნეტარი ღიმილი დამთამაშებდა სახეზე. სულელი ეროსი კი სიცილით იგუდებოდა და პირი დახურეთო მანიშნებდა. პირი რომ დავხურო როგორღა ვილაპარაკო? სალომე და გოგიც ჩაეხუტნენ და ვატყობ სიცილს მალავენ. ზინას მაინც რა დაემართა, ამ ტრაგიკულ მსახიობს რაღა აცინებს? იცინონ ბატონო, მე ჩემი როლი დავამთავრე, პარტერში კი არა კულისებშიც სავსეა მაყურებელი და მე მიხარია, დარწმუნებულიც ვარ სტუმრებსაც მოეწონებოდა ჩემი „ცეცხლოვანება". ვაშა მედიცინას!

ფინალში თავის დასაკრავად კი უნდა გამოვსულიყავი, მაგრამ ეროსის ჩემთვის აღარ ეცალა და... ჩამძინებია.

იტყვიან, თეატრს თუ სჭირდები, ყველაფერს გაგიკეთებენო. ამაზე ჭეშმარიტება არაფერია. ვჭირდებოდი და გამიკეთეს კიდეც ის - ბანგი, ბლომად, ლურსმნისოდენა ნემსით. ახლა ვინ გაგიკეთებს იმ ჯადოსნურ ნემსს უფასოდ? თეატრს ვჭირდებოდი და იმიტომაც მარტყამდნენ ყბაში, ეჰ, ნეტა იმ დროს, ახლა ვის აინტერესებს მეძინება თუ არა, რამდენიც გინდა იძინეო, მაგრამ... ახლა სულ ველარ ვიძინებ დარდით: სცენაზე გამისვლა მენატრება!

ლელა კოდალაშვილის ილუსტრაციები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ხმა სამარიდან“...

# მშრომელი ხალხის უბოროტესი მტრები

მე-4 გვერდიდან

ცელებთ ცრუ სატანისტურ აზრებს და ხალხის გონებას სწამლავთ, ნერვებს უშლით ხალხს, როგორ გაძლევთ ადამიანური მორალი ამ სისულელის ბლაჯვნის უფლებას?

ახლა მოვუსმინოთ დავით ზურაბიშვილს „გენიალური ტვინიდან ხელი-ხელ საგოგმანებელი მარგალიტების გადმოლაგებას“, ზურაბიშვილის წერილი „საქართველოს უკანასკნელი მეფე ანუ რამდენიმე მოსაზრება საქართველოში ტოტალიტარიზმის ფესვების შესახებ“ ტყუპი დასავით ჰგავს პოპიაშვილის ნააზრევს. წერილს ჰორით იწყებს: „ამ რამდენიმე წლის წინ თბილისში სტალინის შვილიშვილი ჩამოსულა, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავს ბაბუას. მისი ქუჩაში გამოჩენა ხშირად იპყრობდა გამვლელთა ყურადღებას, ხოლო ერთ ხანდაზმულ მამაკაცს კი თურმე ცრემლიც კი მოერია და ხმამაღლა აღმოხდა: — მადლი ღმერთს საქართველოს ჯერ კიდევ ჰყავს მეფე, შემდეგ თვითონვე აღიარებს: „არ ვიცი მართალია თუ არა ეს ამბავი, შეიძლება ჰორია“.

შე დალოცვილო, თუ არ იცი და შეიძლება ჰორია რატომ ავრცელებ ჰორს გაზეთის საშუალებით? და შემდეგ ნუთუ არ იცი, რომ სტალინი მეფე არ ყოფილა არც საქართველოში, არც რუსეთში. ნუთუ არ იცი, რომ სტალინი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი და არა მეფე, მაგრამ ეს არაფერი, შეიძლება ზოგს გენერალური მდივანი მეფედ მოეჩვენოს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ თურმე „სტალინის ფენომენი“ საკმაოდ უცნაური მოვლენაა საქართველოს ისტორიაში, რად ღირს თუნდაც ის, რომ ამ ფენომენში გულისხმობენ პიროვნების ავკარგს მაშინ, როცა მთელ ცივილიზირებულ სამყაროში სტალინის პიროვნებაზე ცალსახად უარყოფითი აზრია გამეფებული და თუკი წინასწარ არ მოვიმართებით მოწიწების ტალღაზე, არანაირ კამათს არ უნდა იწვევდეს. მურვან-ყრუს, შაჰ-აბასსა და ალამახმადხანს ერთად არ მოუტანია იმდენი უბედურება საქართველოსათვის, რამდენიც ამ კაცმა მოუტანა“.

თქვენ როგორი აზრი დაგებადებათ ამ წერილის წაკითხვისას, ჩემო მკითხველო, არ ვიცი, მაგრამ მე კი ვიტყოდი, რომ ზემოთ მოტანილი ციტატის ავტორი სულით დავრდომილთა საავადმყოფოდან ახალგამოსული უნდა იყოს, გონებაზე მთლიანად და თვალებზე ლიბრი უნდა ჰქონდეს გადაკრული და თავის ცხვირს იქით ვერაფერს ხედავდეს!

ვინც საქართველოს ისტორიას იცნობს, ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ მურვან ყრუს, თემურლენგის, შაჰ-აბასისა და ალამახმადხანის შემოსევების დროს ზვრები იჩეხებოდა, სოფლები და ქალაქები ცეცხლში ინთქმებოდა და ყველაფერი ნადგურდებოდა, ხოლო საქართველოს მეფეები ან რუსეთს, ან მიუვალ მთებში აფარებდნენ თავს. სტალინის ეპოქაში კი მიწასთან გასწორებული სოფლები და ქალაქები აყვავების ხანაში შევიდა. ვისაც უნახავს ძველი თბილისი, დამერწმუნება, რომ მთელი ქალაქი ქოხმახებით იყო მოფენილი, ჩემს ახალგაზრდობაში თბილისში პირველად ერთი თერთმეტსართულიანი შენობა ააშენეს და ყველას უკვირდა. ამის შემდეგ დაიწყო აღმშენებლობა და დღეს ყველა ხედავს თბილისის მთელ სიდიადეს თავისი მრავალსართულიანი შენობებით. ყველაფერი ეს ბოლშევიკებმა გააკეთეს დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

უარესი მდგომარეობა იყო სოფლებში, ხალხი მიწურებში ცხოვრობდა, დღეს კი ისეთ ქოხმახებში პირუტყვიც არ შეჰყავთ, ყველა სოფელი ორსართულიანი სახლებით არის დამშვენებული. ალბათ ეს ყველაფერი დ.ზურაბიშვილმა გააკეთა, აუშენდა ოჯახი!

მივყვებით ზურაბიშვილის ნაბლაჯნ სტრიქონებს და მის მიერ ნააზრევ მარგალიტებს“ უხვად შეხვდებით. აგერ თურმე: არც ერთ კაცთმოძულე დიქტატორს არ დაუღვრია მშვიდობიან ომის დროს თანამოქალაქეთა იმდენი სისხლი, რამდენიც ამ კაცმა დაღვარა. კაცობრიობის ისტორიაში არ არსებულა ისეთი ამაზრზენი სახელმწიფო, როგორიც სტალინის დროინდელი საბჭოთა კავშირი“.

ჯერ ერთი, ზურაბიშვილს ავიწყდება, რომ მსოფლიო ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა და მტერი თუ არ გაანადგურე, იგი შენ გაგანადგურებს და მერე, სტალინს ადამიანისშვილი არ დაუხვრეტია. ბევრი ეძებს და სურდათ ეპოვათ რაიმე საბუთი, რომ მის ხელისმოწერით ვინმე იყო დახვრეტილი, მაგრამ იყო კანონი და კანონის უზენაესობა, ნუ დაარღვევდი კანონს, მუშურგლეხურ მთავრობას ზურგიდან ნუ გაურჭობდი მახვილს და არავინ დაგსჯიდა, თუ ვისიმე სისხლი დაიღვარა, კანონის ძალით დაიღვარა. საშინელება ეს კი არ არის, საშინელება ისაა, რომ სამხრეთ ოსეთში აფხაზეთსა და სხვა რეგიონებში, სრულიად უდანაშაულო ადამიანების სისხლი რომ დაიღვარა და კვლავ მოსალოდნელია სისხლის ღვრა. რაც შეეხება სტალინის ავტორიტეტს, პროგრესული კაცობრიობა დღესაც მას მისტირის.

ზურაბიშვილმა თავის ბრწყინვალე აზრის დამასაბუთებლად შემოგვთავაზა ა.ბაქრაძისა და გ.პეტრიაშვილის დიალოგიდან მოტანილი ციტატი. აი ისიც: „ვისაც სტალინის ხელით შევსებული ანკეტები უნახავს, ის დამეთანხმება, რომ იგი ანკეტაში ასე წერდა: მშობლიური ენა რუსული, ეროვნება რუსი“

ეს აბსოლუტური სისულელეა. პეტრიაშვილი რომ მტკნარი ვიგია, ამაში მეორე აზრი აღარ უნდა არსებობდეს. რაც შეეხება ბაქრაძეს, ჰკვიანი თაღლითია და როგორც უჯობს, ისე წერს.

მე მინახია სტალინის ხელით შევსებული ანკეტები. ქალაქ ბათუმში, გურამ კახიძის ბინაში მოწყობილ სტალინის. ცხოვრების ამსახველ მუზეუმ-ბიბლიოთეკაში დაცულია 11 ანკეტის ქსეროასლი, სადაც სტალინი თავის ხელით წერს, რომ ქართველია. აი ერთი ანკეტის ნიმუში, რომელიც სტალინის მიერ არის შევსებული 1931 წლის 7 იანვარს. ანკეტა: გვარი, სახელი, მამის სახელი — სტალინი, ასაკი — 52, ეროვნება — ქართველი, განათლება ა(საერთო, დაბალი, საშუალო, უმაღლესი) — საშუალო, ბ) სპეციალური) რომელი სპეცსასწავლებელი დაამთავრეთ, რომელ წელს და რა სპეციალობა მიიღეთ — გამომაპანღურეს სასულიერო სემინარიიდან მარქსიზმის პროპაგანდისათვის, საშუალო ადგილი — საკ.კპ (ბ) ცკ და ასე შემდეგ. არსად არც ერთ ანკეტაში არ არის კითხვა მშობლიური ენის შესახებ და საინტერესოა, ა.ბაქრაძეს როგორ დაესიზმრა, რომ სტალინი მშობლიურ ენად რუსულს თვლიდა და არა ქართულს.

ჩემო ძვირფასო მკითხველო, პოპიაშვილისა და ზურაბიშვილის სტატიებში იმდენი ლაფსუსებია, იმდენი ლანძღვა-გინებაა მოცემული, ყველაფერი რომ გაანალიზო, თითოეულ სტატიაზე თითო ტომი დაიწერება. ლანძღავენ მარქსიზმ-ლენინიზმს, ლანძღავენ მარქსსა და ენგელს, ლენინსა და სტალინს, ლანძღავენ კომუნისტურ პარტიას, საქართველოს ბოლშევიკებს, ლანძღავენ სტალინებს და საბჭოთა კავშირს, ლანძღავენ რუსეთს, ერთი სიტყვით ლანძღავენ ყველას, ვინც მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა და იბრძვის.

თქვენი არ ვიცი, და მე პირადად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ამ ორ დიდ „გენიას“ ფილოსოფიაში სუბიექტური იდეალიზმის ერთ-ერთი მამამთავრის ერნს მახის ეპოქაში უცხოვრიათ. ამ იდეალისტის მოწაფეები ყოფილან; მერე ვიღაცა ბედნიერ კაცს ხელი უტაცია და იმერულ დიდ ქვევრში ჩაუყრია. მახის შემდეგ რომ ფილოსოფიური მეცნიერება კიდევ უფრო წინ წავიდა, ვ.ი.ლენინმა თავისი უკვდავი ნაშრომით „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიზმით“ იდეალისტური ფილოსოფია მთლიანად გააცამტვერა და ამის შემდეგაც მეცნიერება უკიდურესად რომ განვითარდა, ადამიანი კოსმოში გაიჭრა, მთვარეზე ფეხი დაადგა, მაშინ ეს ორი იდეალისტი მახისტი ქვევრიდან ცის ერთ წერტილს შეჰყურებდა და მათთვის სამყარო კვლავ შეუცნობადი დარჩა! ჰგონიათ, რომ მაგიდა ჩვენს გარეშე არ არსებობს!

**ი.იოშვილი**

**ომის, შრომისა და კომუნისტური პარტიის ვეტერანი**

გაზ. „სტალინელი“ №3, 1996 წ.

## საზღვარგარეთ

### გარდაიცვალა ჩეხეთის პირველი ლედი

პრაღაში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 62 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩეხეთის პრეზიდენტის, ვაცლავ ჰაველის მეუღლე. გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე უიმედოდ ავადმყოფი მეუღლე ჰაველმა გადაიყვანა აგარაკზე, სადაც ცოტა ხნის წინ იზეიმეს ახალმოსახლეობა. ვაცლავ და ოლგა ჰაველებმა ერთად ორმოცი წელი გაატარეს. ოლგა მეუღლის ლიტერატურული ნაწარმოებების და პოლიტიკური გამოსვლების პირველი მკითხველი და კრიტიკოსი იყო. მეუღლეს მიუძღვნა ჰაველმა წიგნი ,,წერილები ოლგას‘‘. ქვეყნის პირველი ლედი სიცოცხლეში ბევრს ზრუნავდა სოციალურად დაუცველ თანამემამულეებზე, ავადმყოფებზე და რაც მთავარია, ბავშვებზე. ოლგა ჰაველს შექმნილი ჰქონდა საკუთარი საქველმოქმედო ფონდი უპოვართა დასახმარებლად.

### ტაივანი დიდი ომისთვის ემზადება, ხოლო ჩინეთი — დიდი გაერთიანებისათვის

ტაივანზე დიდი პანიკაა. კუნძულის მცხოვრებლები შიშით გაჰყურებენ ზღვის სივრცეს - ხომ არ მოცურავენ სამხედრო ფრეგატები, ხან კი შეშინებულები მისჩერებიან ცას - ხომ არ მოფრინავენ სიკვდილის მთესველი რაკეტები. ტაივანელები თავდასხმას მატერიკიდან ელოდებიან. ისინი ამის შესახებ ჩარლზ ფრიმენმა, აშშ-ს თავდაცვის მინისტრის ყოფილმა თანაშემწემ, გააფრთხილა. მისი სიტყვებით არსებობს ,,საიდუმლო საქმე‘‘, რომლის შესახებაც მან გაიგო ჩინეთის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის მაღალი ჩინის პირებისაგან. ამის შესახებ ფრიმენმა ინტერვიუ მისცა გაზეთ ,,ნიუ-იორკ თაიმსს‘‘. ტაივანში სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა, მთავრობა მოუწოდებს შეშინებულ მოსახლეობას დაიცვან დისციპლინა და წესრიგი და რაც მთავარია, ჰქონდეთ ტაივანის ჯარის იმედი, რომელიც ქვეყანას აგრესიისაგან დაიცავს.

ჩინეთის მხარე უარყოფს ამ ინფორმაციას.

### საფრანგეთის სასამართლო უძლური აღმოჩნდა ელექტრონიკის წინააღმდეგ

საფრანგეთში ყოფილი პრეზიდენტის მიტერანის სიკვდილის შემდეგ სასწრაფოდ გამოვიდა წიგნი, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი მიტერანის ავადმყოფობა. გარდაცვლილის ოჯახის მოთხოვნით და საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით წიგნი სასწრაფოდ აიკრძალა და ამოღებული იქნა გაყიდვიდან. საქმე იმაშია, რომ კლოდ გეიბერმა, პრეზიდენტის პირადმა ექიმმა და წიგნის ავტორმა დაარღვია საექიმო ეთიკა და გასცა ავადმყოფის საიდუმლოებანი, რისი უფლებაც არ ჰქონდა. სამწუხაროდ, სასამართლომ ვერ გაითვალისწინა ელექტრონიკის შესაძლებლობები, რითიც ისარგებლა ქალაქ ბეზანსონის მცხოვრებმა, რომელმაც წიგნის შინაარსი დისკეტაზე გადაწერა და შეიყვანა საერთაშორისო კომპიუტერულ კავშირზე ,,ინტერნეტი‘‘. ეხლა ნებისმიერს, რომლის პერსონალური კომპიუტერი ერთვება ამ სისტემაში, შეუძლია გაიგოს რითი გარდაიცვალა ფრანსუა მიტერანი.

### შუაში გაჭრილი ნიქსონი




აშშ-ში გამოსული საფოსტო მარკების ნაწილი წუნით აღმოჩნდა. მათზე დაბეჭდილი იყო ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ნიქსონის შუაზე გაჭრილი სურათი, ხოლო სახელი და გვარი საერთოდ თავდაყირა ეწერა. წუნი შეუმჩნეველი დარჩა და საფოსტო მარკები ბაზარზე გამოვიდა. სანამ აშშ-ს საფოსტო სამსახურმა წუნდებული მარკები გაყიდვიდან ამოიღო, ვირჯინიის შტატის ერთმა მცხოვრებმა 160 მარკა შეიძინა. კოლექციონერები 32 ცენტიან მარკაში თანახმანი არიან 8000 დოლარი გადაიხადონ. საფოსტო სამსახურის დაუკვირვებლობის წყალობით მოხერხებული ამერიკელი ხელის ერთი დაკვრით გამდიდრდა.

### გენერალურ პროკურორს მკაცრი საუბარი ექნება

გროზნოში მყოფმა რუსეთის გენერალურმა პროკურორმა სკურატოვმა განაცხადა, რომ პროკურატურა აქტიურად უნდა იცავდეს ჩეჩნეთში მყოფი სამხედროების უფლებებს, რომლებიც იქ მძიმე პირობებში არიან. სკურატოვის თქმით, გროზნოდან დაბრუნებისთანავე მას მკაცრი საუბარი ექნება გრაჩოვთან და კულიკოვთან.

# ჰოროსკოპი

## ასტროლოგიური პროგნოზი 1 თებერვლიდან 19 თებერვლამდე

ასტროლოგები გვპირდებიან, რომ თებერვლის თვის პირველი ნახევარი მშვიდი და ჰარმონიული იქნება, თუმცა სიფრთხილის გამოჩენა გვმართებთ 17, 18, 19 თებერვალს. ეს თვის ყველაზე დაძაბული დღეები იქნება.

### ვერძები



— მათ ეს თვე სასიამოვნო შეხვედრებს და ცვლილებებს პირდება. ოღონდ შეეცადეთ გარდატეხის ჟამს ძალიან შორს არ გადაეშვათ, უკან დაბრუნება ნამდვილად გაგიჭირდებათ. მოერიდეთ ოჯახში კონფლიქტებს. შეეცადეთ დაივიწყოთ ძველი წყენა.

### კურო



შეეცადეთ ეს პერიოდი გამოიყენოთ ურთიერთობების გასარკვევად. თქვენი ახლობლები საოცრად ლოგიკური იქნება და დიდ წარმატებას მოგიტანთ. მიაქციეთ ყურადღება თქვენი შვილების ჯანმრთელობას. თუ ბავშვები არა გყავთ, აუცილებლად გეყოლებათ ვინმე, ვისაც თქვენი ზრუნვა სჭირდება. დაეხმარეთ მას. შეეცადეთ თქვენი საქმიანობა 7 თებერვალს დაიწყოთ. ეს დღე ბიზნესში წარმატებას მოგიტანთ. საყვარელი კი ცოტა ხნის გვერდით გადადეთ. თქვენს სულიერ ძალებს აღდგენა სჭირდებათ.

### ტყუპები



კარმიული პერიოდი უდგებათ ტყუპებს. ესლა მშვიდად შეგიძლიათ გააკეთოთ ის საქმე, რასაც აქამდე ვერ ახერხებდით. წინ უზარმაზარი პერსპექტივა გეშლებათ. არ არის გამორიცხული სამოგზაუროდ წასვლაც. გაუფრთხილდით ფულებს. განსაკუთრებით 17-18 თებერვალს. 19 თებერვალს კი მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს.

### კიბორჩხალა



საქმით გადატვირთულ კიბორჩხალებს ეძლევათ საშუალება ცოტა დაისვენონ და უფრო მეტი დრო მიიღონ ცხოვრების დატკბობას. თქვენ აღმოაჩენთ, რომ თურმე ძალიან მიმზიდველი ხართ საყვარელი და რომანტიკოსიც. ოღონდ ახალი ნაცნობობის ძებნას ნუ დაიწყებთ. ამან შეიძლება საბედისწერო შედეგები მოგიტანოთ. 4-5 თებერვალს თქვენი ურთიერთობა ძველ პარტნიორთან ახალ სიხარულს მოგიტანს. 10–11 თებერვალს ახალი, ორიგინალური აზრები მოგივათ. გამოიყენეთ ისინი საქმეში.

### ლომი



შეეცადეთ თქვენს თავს თქვენი პარტნიორის თვალებით შეხედოთ. ეს პერიოდი მოგცემთ საშუალებას გამოასწოროთ თქვენი ყველაზე ცუდი ჩვევები. თებერვალი თქვენთვის მშვიდი და წყნარი იქნება, ყოველგვარი ფეიერვერკების გარეშე. შეეცადეთ ენერგიის დაგროვებას, რადგან მომდევნო თვე თქვენთვის მძიმე იქნება. 15-16 თებერვალს გაგიჩნდებათ წარმატების მოულოდნელი შანსი. ნუ გაუშვებთ მას ხელიდან.

### ქალწული



— მიაქციეთ ყურადღება თქვენს ჯანმრთელობას. მოერიდეთ გაცივებას, ნუ მიეძალებით ხორცს და რძის ნაწარმს. ამ პერიოდში თქვენი საქმეები უინტერესოდ წავა. სიახლეებს ეს თვე არ გპირდებათ. ფხიზლად იყავით თქვენი პარტნიორის მიმართ. მან შეიძლება ახალი ინტრიგების გაბმა მოინდომოს. 3, 4, 5 თებერვალს გაუფრთხილდით გულს და ხერხემალს. მოემზადეთ შემდეგი პერიოდისთვის. იგი თქვენთვის მეტად საინტერესო, მაგრამ დამღლელიც იქნება.

### სასწორი



ექვიანობის გრძნობა, რომელიც გაწუხებდათ, გაგიქრებათ, დარწმუნდებით, რომ თქვენ ნამდვილად უყვარხართ. წარმატება გელით შემოქმედებით საქმიანობაში. ფინანსური მხარე კი ბევრს ვერაფერ სიახლეს გპირდებათ. შეეცადეთ არაფერი დაგეგმოთ 17-19 თებერვალს. მაინც არაფერი არ გამოგივათ. მოერიდეთ ვალის აღებას, მისი დაბრუნება ძალიან გაგიჭირდებათ.

### მორიელი



მთელი თვე თამამად შეგიძლიათ მიუძღვნათ თქვენს ოჯახს. ეს ყველაზე ხელსაყრელი დროა ოჯახური ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. თუ გადაწყვეტს, გარიგეთ მაშინ. დამშვიდება შეიძლება თქვენ თვითონ სურთ. თუ თქვენი საქმიანობა ქონების ყიდვა-გაყიდვას განეკუთვნება, წარმატების თვის პირველ ნახევარში ელოდეთ. 18 თებერვალს ყველა საქმე გვერდზე გადადეთ და დრო წიგნის კითხვაში გაატარეთ. ყურადღება მიაქციეთ თირკმელებს და ხერხემალს.

### მშვილდოსანი



— მოულოდნელი ნაცნობი თქვენს წარმოდგენებს სამყაროს შესახებ თავდაყირა დააყენებს. მოსალოდნელია ხანმოკლე მოგზაურობა. თქვენი სოციალური მდგომარეობა ნელ-ნელა სტაბილურ ფორმას მიიღებს. მაგრამ შეიძლება გართულებები გქონდეთ. ეს თვე გაივლის ხანმოკლე ურთიერთობებში, ინფორმაციის გაცვლაში და პატარ-პატარა ფინანსურ ოპერაციებში. შეეცადეთ გამოიყენოთ თქვენი ინტუიცია, განსაკუთრებით 5-6-7 თებერვალს.

### თხის რქა



— საშწუხაროდ, რასაც აქამდე აკეთებდით შეიძლება უქმად ჩაგიაროთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, განსაკუთრებით ნერვებს. შეიძლება თავი ქრონიკულმა დაავადებებმაც შეგახსენოთ. მოერიდეთ რაიმე ფინანსური მაქინაციებს. ძალიან დიდი ალბათობაა თანხის დაკარგვის და ყოველივე ეს თქვენი ახლო მეგობრების „დახმარებით" შეიძლება მოხდეს. განსაკუთრებით გაფრთხილდით 10 თებერვლის შემდეგ.

### მერწყული



— ეს თვე ყველაზე უფრო მომგებიანი ზოდიაქოს ნიშნებში მერწყულისთვისაა. ამ თვეში თქვენს მეგობრების რიცხვს მოემატება ძლიერი და გავლენიანი პიროვნება, რომელიც არ გახდება თქვენი სპონსორი, მაგრამ ფული თუ დაგჭირდათ, აუცილებლად დაგაფინანსებთ. ქალ მერწყულებს შეიძლება საიდუმლო მეგობარიც გამოუჩნდეთ.

### თევზები



მორცხვი მეზაურობისთვის ხელსაყრელი დრო დგება. მოგიწევთ მარტოობაში გაატაროთ თებერვლის მეორე ნახევარი. გაგიღვიძდებათ ნებისმიერი სიყვარულისა და ცხოვრების წყურვილი. თქვენი სულიერი ძალები თითქმის ამოწურულია. ნუ შეეცდებით რამე შეცვალოთ აწმყოში. ჯობია დაგეგმოთ მომავალი. 4 თებერვალს განსაკუთრებით გაგიმძაფრდებათ ცხოვრების გრძნობა, როგორც ფინანსური, ასევე სულიერის. საბედნიეროდ 20 თებერვალს. მალე მზად იქნებით ახალი ცხოვრების დასაწყებად.


გაზეთი «საქართველო»

დაინტერესებულ

კერძო და იურიდიულ

პირებს სთავაზობს

სარეკლამო

მომსახურებას.

ჩვენი მისამართია:
თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. №5

ტელ: 93-18-41, 93-19-99.



იყიდება ძეხვისა და სოსისის პრივატიზირებული საწარმო ქვედა ვაზიანის დასახლებაში (აეროპორტიდან 5 კმ-ში), არის ბუნებრივი გაზი, მაცივრები, წყლის რეზერვუარები, დამხმარე სათავსოები, მიმდებარე ტერიტორია. ფასი 25000 $

დარეკეთ 39–65-25, 23-52-38



დაგიმზადებთ

საკანცელარიო ბეჭდებსა და შტამპებს სწრაფად, იაფად, ხარისხიანად. მისამართი: ფურცელაძის ქ.№12 (კ/თ „რუსთაველის" უკან). ტელ. 99—53-62



ტურისტული ფირმა „ვერონა" შეღავათიან ფასებში გიწვევთ სამოგზაუროდ ირანში ქ.თეირანში, სასურველი რაოდენობის ტვირთის ჩამოტანით. გასვლა 2 თებერვალს, მოგზაურობა თვითმფრინავით. მისამართი ლესელიძის 4. ტელ. 99–73-41 ნუგზარ ჭინჭარაული


## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ჰიტლერული გერმანიის სამხედრო დაზვერვა; 6. სამეგრელოს ეკლესიის მეთაური საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ხანაში (XV–XVIII საუკუნეები); 9. ბუფეტი ჭურჭლისთვის; 11. ოთახი მთავარი დარბაზის წინ; 14. „კაცი ფილოსოფოსი და სწავლული და მრავალღონე" XIII საუკუნის საქართველოში; 18. პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი ძველ რომში; 19. შტატი ამერიკაში; 20. ძველად გავრცელებული აბრეშუმის ქსოვილი; 21. სამონადირეო სასროლი თოკი; 24. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ცნობილი მებრძოლი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცული; 26. მამია გურიელის (XIX საუკ.) ცნობილი ლექსი; 27. ჩრდილოეთის ცივი და მშრალი ქარი სამხრეთ საფრანგეთში; 29. ისტორიული ოლქი დასავლეთ ევროპაში; 30. გამოტოვებული სიტყვა იოსებ ნონეშვილის სტრიქონებში: „შენ არა გაქვს მეფის გვარი, ფრთაფარფატა თოლია, მაშ, თვალები თამარ მეფის როგორ..." 31. შეთხზული, მოგონილი რამ.

**ვერტიკალურად:** 2. სულთანატი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 3. მასალის ჭრით დამუშავების ერთ-ერთი სახე; 4. სოფელი ახალციხის რაიონში; 5. ავადმყოფის საექიმო გამოკვლევის მეთოდი, დამყარებული შეხების შეგრძნებაზე; 7. დიდი ვენახი; 8. თურქეთის პოლიტიკური მოღვაწე; 10. მეტისმეტი ვნებიანობით შეპყრობილი; 12. სამეცნიერო დაწესებულების მუშაკი; 13. გეოლოგიური პერიოდის ნაწილი; 15. ქალაქი იაპონიაში; 16. მედეა ჯაფარიძის სცენური სახე; 17. ცნობილი ინგლისელი ასტრონომი და გეოფიზიკოსი; 22. ცხედარი; 23. დეკორატიული ბუჩქი; 24. ორგანული ნივთიერება, რომელიც აუცილებელია ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმის სასიცოცხლო მოქმედებისათვის; 25. სოფელი რაჭაში; 28. სოფელი ქართლში; 29. ავსტრიელი ექიმი და ფსიქოლოგი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ვერტიკალურად: 1. პორტი, 2. ბაირონი, 3. ცისკარი, 4. ისანი, 6. ოფორტი, 7. მაპუტუ, 8. უვერტიურა, 9. გრაფომანი, 13. აგუტი, 14. ორგია, 18. უსტარი, 20. ლეკორი, 21. ამალაე, 22. ანთეოსი, 26. პიანო, 27. ჰიმნი.

თარაზულად: 5. ჰორაციუსი, 10. სვირი, 11. უნარი, 12. ლუარა, 15. ირვინგი, 16. ტრიუმფი, 17. პირუეტი, 19. დიპლომი, 23. კრეტა, 24. ამონი, 25. აკინი, 28. ანდერსენი.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი,
თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები:

93-20-36, 93-19-99 93-18-41